ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის № 24-25 (305) გამოცემის მე-16 წელი

საქართველოს საზოგადოების გამოცემა ● 1972 წლის 27 დეკემბერი

სსრ კავშირის შექმნა იყო პირდაპირი განგრძობა დიადი ოქტომბრის საქმისა, რომელმაც ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის განვითარებაში, იყო პრაქტიკული განხორციელება დიდი ლენინის იდეისა თავისუფალ ერთა ნებაყოფლობითი კავშირის შესახებ.

ლეონიდ ბრეჟნევი



საბჭოთა ერთობის ზეიმი

მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში 1972 წლის 21 დეკემბერს, დილის 10 საათზე გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავისადმი.

საზეიმო სხდომის მონაწილენი და მრავალი სტუმარი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ი. პორონოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, დ. ა. კუნაევს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ე. შელესტს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ი. ვ. ანდროპოვს, პ. ნ. დემიჩევს, პ. მ. მაშეროვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ი. დოლგიხს, ი. ვ. კაიპმონოვს, კ. თ. კატუშევს, სოციალისტური ქვეყნების პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციათა ხელმძღვანელებს, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა მეთაურებს.

სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ვ. პოდგორნიმ.

მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავის შესახებ“ გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისაგან მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ს. სოლომენცევმა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ედვარდ გიერეკმა, რომელსაც საზეიმო სხდომის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ.

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ვ. შჩერბიცკიმ.

საზეიმო სხდომის მონაწილენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ერიხ ჰონეკერის გამოსვლას.

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. პ. მ. მაშეროვმა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გმირი ხალხის სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს ძმურად მიესალმა და დიდი მადლობა გადაუხადა ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისა და მხარდაჭერისათვის ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ჩიონგ ტინმა.

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. შ. რ. რაშიდოვმა.

სხდომაზე გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხ. შორს მარშე, რომელსაც დამსწრენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ.

დარბაზში გაისმის სიმღერა „ჩვენ ახალგაზრდა გვარდია ვართ“. სხდომის ყველა მონაწილის ტაშის გრიალში შემოდიან სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობის — ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობის, სტუდენტებისა და მოსწავლეების წარმომადგენლები — კომკავშირელები და პიონერები ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან.

საზეიმო სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ 1915 წლიდან სკკპ წევრის, საბჭოების ძველი არალეგალური საკავშირო ყრილობის დელეგატის ამხ. ვ. პ. ვინოგრადოვის გამოსვლას.

* * *

22 დეკემბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაგრძელდა საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ა. ალიევმა.

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან სიტყვა წარმოთქვა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ე. ჟოხინიანმა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ სსრ კავშირის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციების, კომუნისტური და მუშათა პარტიების მეთაურები.

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. დ. ა. კუნაევმა.

საზეიმო სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. გუსტავ ჰუსაკს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.


საზეიმო სხდომის მონაწილეები მხურვალედ შეხვდნენ კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ფიდელ კასტრო რუსის გამოსვლას.

ერთიან, ურღვევ ოჯახში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი



ლენინის შეგლთან. მარცხნიდან — გივი ჯავახიშვილი, ედუარდ შევარდნაძე, ალბერტ ჩურკინი, გიორგი ჟოწენიძე.



ზეიმი ფილარმონიის დიდ დარბაზში. ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე.

რვეენი ხალხის დიადი მიღწევებისათვის სიხარულისა და სიამაყის გრძნობით, მომავალ წარმატებათა რწმენით შეხვდნენ საქართველოს მშრომელები საბჭოთა მოძმე ხალხების დიად დღესასწაულს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ნახევარი საუკუნის მწვერვალიდან განსაკუთრებით ნათლად მოჩანს სახელოვანი გზა, რომელიც საბჭოთა საქართველომ განვლო. სოციალიზმის ცხოველმყოფელი სხივებით, ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით განმტკიცდა, გაძლიერდა და აყვავდა ქართული მიწა-წყალი... სოციალისტური სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის იუბილეს წინ ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის მშრომელებს კიდევ უფრო ღრმად ესმით თავიანთი სულიერი ნათესაობა ერთიან სოციალისტურ სამშობლოსთან. მათ კვლავ ცხადუეს შეკავშირება ლენინური პარტიის გარშემო, ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულება.

...რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები სადღესასწაულოდ არის მორთული. ლამაზად მორთულ-მოკაზმულია თბილისიც. ქუჩებში და მოედნებზე ფრიალებენ საბჭოთა კავშირის, საქართველოს სსრ, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ალმები. წითელ ქსოვილებზე წარწერილი სიტყვები ხოტბას ასხამენ კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას. ყველგან, ხაითკენაც გაიხედავ, წითლად ელვარებს ხაიუბილეო თარიღი — „50“.

საქართველოს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი ხალხით არის გაჭედილი.

სცენაზე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ალმის, 15 მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ალმების ფონზე, რომლებიც ჩვენს მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოს, მოძმე ხალხთა მარადიულ მეგობრობას განასახიერებენ, მოჩანს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის — კომუნისტური პარტიის ბელადისა და ორგანიზატორის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემქმნელის დიდი პორტრეტი.

15 დეკემბერი, 11 საათი. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ პავლე ბილაშვილი, ალექსი ინაური, შალვა კიკნაძე, პავლე მელნიკოვი, ზურაბ პატარიძე, ედუარდ შევარდნაძე, ალბერტ ჩურკინი, გიორგი ჟოწენიძე, შოთა ჭანუყვაძე, გივი ჯავახიშვილი, ოთარ ჩერქეზია, თეიმურაზ მოსაშვილი, ჯუმბერ პატიაშვილი, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელები — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. სეიდოვი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. არუთინიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, პარტიის ვეტერანები, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირები, მინისტრები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენლები.

დამსწრეთ შესავალი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გიორგი ჟოწენიძემ.

ძვირფასო ამხანაგებო!

კაცობრიობის ისტორიას არაერთი რევოლუცია ახსოვს, მაგრამ მათ შორის დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან მან ჩაუყარა საფუძველი სოციალისტური საზოგადოების აშენებას და ამით დასაბამი მისცა ახალ ეპოქას მსოფლიო ისტორიაში.

ესეთივე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ოქტომბრის რევოლუციის პირმშოს — საბჭოთა კავშირს, რომელშიც ძმურად არიან გაერთიანებული თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ერები, რამაც განაპირობა მათი ეკონომიკის და კულტურის განვითარების არნახული პროგრესი. ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელმა განხორციელებამ უზრუნველყო საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის უმაგალითო ამაღლება. დღეს არა მარტო ჩვენი ხალხი, არამედ მთელი მსოფლიოც აღიარებს საბჭოთა კავშირის უდიდეს წარმატებებს სახალხო მეურნეობის უველა დარგის განვითარებაში. მეფის რუსეთის ისედაც ჩამორჩენილი მეურნეობა, რომელიც საბოლოოდ გაანადგურა პირველმა მსოფლიო ომმა და სამოქალაქო ომმა, ძირითადად უწიგნური მოსახლეობა — ესეთი იყო პირობები, როცა დაიწყო სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში.

ლენინური პარტიის შთამაგონებელმა ძალამ შეაკავშირა ხალხი სოციალიზმის მშენებლობისათვის, დაარწმუნა გამარჯვების გარდუვალობაში, და დღეს ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ რას მიაღწია საბჭოთა ქვეყანამ ხალხთა ურღვევი მეგობრობის საფუძველზე კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით.

უველასათვის ნათელია, რომ მიმდინარე საუკუნის მეორე ნახევარი, რომლის საფუძველია მძლავრი სოციალისტური მრეწველობა, კოლექტიური სოფლის მეურნეობა და კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული მოწინავე მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია, გახდება საბჭოეთისათვის ახალი უდიდესი გამარჯვებების, კომუნისტური საზოგადოების წარმატებული მშენებლობის წლები.

თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს თავის საპატიო, პატრიოტულ სასიამოვნო მოვალეობად უნდა მიაჩნდეს აქტიური, თავდადებული მონაწილეობა ამ დიად შემოქმედებითს შრომაში.


ნება მიბოძეთ გახსნილად გამოვაცხადო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება.

დარბაზში ყურს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, რომელსაც ცვლის საქართველოს სსრ ჰიმნი.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობ უნიკალს სოციალისტური შრომის გმირს ვლადიმერ ასათიანს წინადადება შემოაქვს არჩეულ იქნას საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. ამ წინადადებას უდიდესი აღფრთოვანებით ხვდებიან. დარბაზში დიდხანს გრიალებს ტაში კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად.

თავმჯდომარე გიორგი ჟოწენიძე სიტყვას აძლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც გააკეთა მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 სახელოვანი წელი“.


ძმობა, ერთობა და სიყვარული



სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა კიევში



შარაინული მიწის ბარაქა



ძალაჭ ჩერკასის ქიმიური კომბინატი

მოკმე რესპუბლიკათა თანავარსკვლავედში

ალექსანდრე ლიაშკო,
უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

დონეცკის ველებიდან მარადმწვანე კარპატებამდე, მზიური ყირიმიდან ჩერნიგოვის ტყეებამდე გადაჭიმულა საბჭოთა უკრაინა — სსრ კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა თხუთმეტიდან. მისი ფართობი 603,7 ათასი კვადრატული კილომეტრია — ევროპის რომელიც ვნებავთ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მეტი. დაუშრეტელია უკრაინის მიწის წიაღის სიმდიდრე, ბარაქიანია მისი ყანები და აყვავებული ბაღები, ფართო და წყალუხვია მისი მდინარეები. ეს არის მძლავრი ინდუსტრიის, დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობის, შესანიშნავი ხალხური ტალანტების და მომჯადოებელი სიმღერების მხარე. და ყველაფერს, რასაც მიაღწია ჩვენმა რესპუბლიკამ, რაც შეადგენს მის დიდებასა და სიამაყეს, უკრაინელი ხალხი უნდა უმადლოდეს ლენინურ პარტიას, სოციალისტურ წყობილებას, საბჭოთა ერების მეგობრობას.

ბედნიერების გზა უკრაინელ ერს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ერებს, დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაუკაფა. თავისუფალ, ახალ ცხოვრებაში, რომელზეც მგზნებარედ ოცნებობდა დიდი უკრაინელი მამულიშვილი ტარას შევჩენკო, უკრაინელმა ხალხმა ყოველმხრივ განავითარა თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა, შემოიმტკიცა მთელი თავისი მიწები, განუზომლად განამტკიცა რესპუბლიკის სუვერენიტეტი, რომელსაც საიმედოდ იცავს საბჭოთა კავშირის მთელი ეკონომიური, პოლიტიკური და თავდაცვითი ძლიერება, მოძმე ერთა ურთიერთდახმარება. ისტორიულად მოკლე ვადაში საბჭოთა უკრაინის მშრომელებმა გრანდიოზული წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში.

და ყოველთვის, ყველა თავის საქმესა და მიღწევაში, უკრაინელი ხალხი მუდამ გრძნობდა და გრძნობს, როგორ მეგობრულად უჭერენ მხარს, როგორ ეხმარებიან ძმები — საბჭოთა ხალხები და, უწინარეს ყოველისა, დიდი რუსი ხალხი.

გავიხსენოთ პირველი ხუთწლედები, როცა შეიქმნა ასეთი ინდუსტრიული გიგანტები, როგორიც არის „ზაპოროჟსტალი“, ხარკოვის სატრაქტორო და ნოვოკრამატორსკის მანქანათაშენებელი ქარხნები, დნეპრჰესი... მათ შექმნაში მონაწილეობდა ყველა საბჭოთა ერი.

არასოდეს წაიშლება მეხსიერებაში დიდი სამამულო ომის მძიმე წლები, როცა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ერთიანი ოჯახის გრძნობა. 4,5 მილიონამდე უკრაინელი სხვა რესპუბლიკების მოძმე მეომრებთან ერთად გმირულად იბრძოდა სამშობლოსათვის მოსკოვჰა და ლენინგრადის მისადგომებთან, ვოლგასა და კურსკის რკალზე, კავკასიის მთისწინეთსა და ბალტიისპირეთში. რუსი, ბელორუსი, ქართველი, უზბაკი, უზბეკი, სომეხი და სხვა საბჭოთა ხალხების მილიონობით შვილი მუხრავდა ფაშისტ დამპყრობლებს უკრაინის მიწა-წყალზე.

იოლად როდი დავამარცხეთ ფაშისტური გერმანია. ომმა დაანგრია ქვეყანა. შემზარავ სურათს წარმოადგენდა უკრაინა განთავისუფლების შემდეგ. მოძმე ხალხები დაგვეხმარენ მოგვეშუშებინა ომის ჭრილობები. დასავლეთით ჯერ კიდევ ჭუხდნენ ქვემეხები, უკრაინის განთავისუფლებულ რაიონებში კი უკვე მოდიოდა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან საშენი მასალებით, ტექნიკით, სურსათით დატვირთული ეშელონები.


დღეს ჩვენი რესპუბლიკა სამრეწველო წარმოების მოცულობით 1940 წლის ათ უკრაინას უდრის. მარტო 1971 წელს უკრაინის სს რესპუბლიკაში მოპოვებულია 209 მილიონი ტონა ქვანახშირი, 117 მილიონი ტონა რკინის მადანი, 65 მილიარდ კუბმეტრამდე გაზი, გამომუშავებულია 160 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 47,4 მილიონი ტონა ფოლადი, გამოშვებულია 149 ათასი ტრაქტორი. ვამაყობთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში იშვა პირველად ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანები, ხელოვნური ალმასები.

1965-1970 წლებში უკრაინაში ახალი ბინა მიიღო ან საბინაო პირობები გაიუმჯობესა ცხრა მილიონზე მეტმა კაცმა — მოსახლეობის თითქმის მეხუთედმა.

სოციალიზმის დიდი გარდამქმნელი ძალა, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა მკაფიოდ გამოვლინდა უკრაინელი ხალხის კულტურის აყვავებაშიც. უკრაინაში, სადაც რევოლუციამდე მოსახლეობის 75 პროცენტი უწიგნური იყო, დღეს თითქმის 15 მილიონი კაცი სწავლობს.

რესპუბლიკის მშრომელებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, დიდებულ პერსპექტივებს უსახავს მეცხრე ხუთწლედი. რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობა 48 პროცენტით გაიზრდება. 1975 წელს უკრაინა სამჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას გამოუშვებს, ვიდრე მთელი საბჭოთა კავშირის მრეწველობამ გამოუშვა 1940 წელს.

მოძმე რესპუბლიკათა თანავარსკვლავედში შემავალი, თანასწორთა შორის თანასწორი, თავისუფალთა შორის თავისუფალი, სამგზის ორდენოსანი საბჭოთა უკრაინა ღირსეულად შეხვდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის 50 წლისთავს. რესპუბლიკის მშრომელები ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას არ ზოგავენ, რათა საქმედ აქციონ პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული წინასწარმეტყველებანი, თავდადებული შრომით ამრავლებენ სამშობლოს მატერიალურ და კულტურულ სიმდიდრეს.



კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტის ერთ-ერთი აუდიტორია



ადამ მიცკევიჩის ძეგლი ლვოვში



შრომის შემდეგ...

ციფრები...

● უკრაინის სსრ ტერიტორია 603,7 ათასი კვადრატული კილომეტრია — მეტი, ვიდრე ევროპის რომელიმე ქვეყნისა. მისი მოსახლეობა 1972 წლის 1 იანვარს შეადგენდა 47,9 მილიონს.

● რესპუბლიკა მდიდარია სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულით. მას წამყვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში რკინისა და მანგანუმის მადნის, ტიტანიუმის, ცირკონიუმის, ვერცხლისწყლის მოპოვებაში. უკანასკნელ წლებში აღმოჩენილია 30-ზე მეტი ნავთობისა და გაზის საბადო.

● სწრაფი ტემპით ვითარდება უკრაინის სს რესპუბლიკის სათბობის მრეწველობა. ქვანახშირის მოპოვება ახალი ხუთწლედის დამლევისათვის 217,4 მილიონ ტონას მიაღწევს. გათვალისწინებულია დაჩქარდეს საწარმოთა ხელახალი ტექნიკური აღჭურვა, აშენდეს 15 ახალი და განახლდეს 17 მოქმედი შახტი. ნავთობის მოპოვება უნდა გაიზარდოს 17,5 მილიონ ტონამდე, გაზისა — 62 მილიარდ კუბმეტრამდე.

ციფრები...

● უკრაინა საბჭოთა კავშირის უდიდესი მეტალურგიული ბაზაა. ახალი ხუთწლედის დამდეგს მისი წილი რკინის მადნის საერთო-საკავშირო წარმოებაში შეადგენდა 56,9 პროცენტს, თუჯისა — 48,2 პროცენტს, ფოლადისა — 40,2 პროცენტს, ნაგლინისა — 40,6 პროცენტს.

● უკრაინაში შენდება მძლავრი ენერგეტიკული გიგანტები. მეცხრე ხუთწლედის მანძილზე ელექტროენერგიის წარმოება 44,8 პროცენტით გაიზრდება და 1975 წელს 198,5 მილიარდ კილოვატსაათს მიაღწევს.

● მიმდინარე ხუთწლედში მთავარი ყურადღება ეთმობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას. მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 1975 წლისათვის გაიზრდება 1,4-ჯერ. კერძოდ, ქსოვილების წარმოება 77 პროცენტით გადიდდება და 892 მილიონ კვადრატულ მეტრს მიაღწევს, ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოშვება გაიზრდება 58 პროცენტით.



სიხათლე ჩვენს ფანჯრებში

— ბედმა სად არ მატარა... თუმცა ბედმა კი არა, ჩემმა ხასიათმა. ერთ ადგილას გული დიდხანს არ მიჩერდებოდა. დამთავრდებოდა მშენებლობა და ავიკრავდი გუდა-ნაბადს, ეხლა სხვა ადგილს მივაშურებდი, სხვაგან ვიდებდი დროებით ნავსაყუდელს... მიმუშავია მაკეევისა და ხარკოვის, დონეცკისა და ჩელიაბინსკის, დონბასისა და მოსკოვის უდიდეს ქარხნების მშენებლობებზე. 30 წლისა კი საქართველოში ჩამოვედი, რუსთავის ქარხნის აშენებაში რომ მიმეღო მონაწილეობა, ჩამოვედი და პოლტაველ კაცს, მანამდე მხოლოდ წიგნებში წაკითხული ქვეყანა სამშობლოდ მექცა; მართალი უთქვამთ: ვინც საქართველოს მიწაზე ფეხს დაადგამს და აქაურ მეგობრის ხელით გამოწვდილ წყალს შესვამს, აქედან ვეღარ წავაო... — დაიწყო თხრობა თავის თავზე საქართველოს ელექტროსამონტაჟო ტრესტის მმართველმა **ვლადიმერ კლაჩკომ.**

დიახ, უკრაინელი კაცი, ჩვენი მზით რომ გასთბობია გული, დღეს საქართველოს შვილად თვლის თავს და საქვეყნოდ აცხადებს — ამ აყვავებული მთა-ბარის სიყვარულში ვისაც უნდა შევეჯიბრებით. ეს სიყვარული მით უფრო პატივსაცემია, რომ იგი თავდადებულ, ალალ შრომასა და ქართველი კაცის სამეყნოდ ნაქები მასპინძლობით იშვა...

ჩამოსვლისთანავე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ელექტროსამონტაჟო საქმეების ხელმძღვანელობა დაავალეს მაშინ ამ საქმეს სულ 12 კაცი ემსახურებოდა. გაიდო რაღაც ერთი წელიწადი და უკრაინელ კაცს გვერდში ამოუდგნენ გამოცდილი ინჟინრები გიორგი ვარდანაშვილი და ვლადიმერ გუგუშვილი. ამ ადამიანებთან ურთიერთობამ ვლადიმერ კლაჩკოს საქმეც შეუმსუბუქა და ქართველებიც გააცნო... გაიდა კიდევ წელიწადი და საქართველოში, ელექტროსამონტაჟო საქმეებს უკვე 500 კაცი ემსახურებოდა. დღეს კი ადამიანთა რიცხვმა, რომელებსაც ქარხნებსა თუ საცხოვრებელ სახლებში შუქის აკიაფება ევალებათ, 1200-ს გადააჭარბა და მათ კვლავინდებურად უკრაინელი კაცი ვლადიმერ კლაჩკო ხელმძღვანელობს. ამ ორგანიზაციის შეძლებაზე კი ერთი ფაქტიც მეტყველებს: თუ ადრე ელექტროსამონტაჟო სამუშაოებზე ჩვენთან სხვა რესპუბლიკებიდან მოდიოდნენ დასახმარებლად, დღეს საქართველო ეხმარება სხვებს. ქართველი ინჟინრები, ელექტროტექნიკოსები იყვნენ ჩერეპავეცკში, ლიპეცკში, ვოლგაზე... მათი გამოცდილი და მეგობრული ხელი მისწვდა თურქეთს, ინდოეთს, ეგვიპტეს...

— ოჯახში, როგორც წესი, შვილები ქართულად ლაპარაკობენ. — მითხრა ვლადიმერმა და დასძინა, — ქალიშვილი უკვე დაოჯახდა, კიევში დაიდო ბინა, ხშირად ჩავდივარ მასთან, მაგრამ ორი-სამი დღის შემდეგ ისევ შინისკენ მოვეშურები — რა ვქნა, უთბილისოდ მიჭირს. ბიჭი კი, რომელსაც, ჩემი არ იყოს, აქაურობა მშობლიურად ექცა, ქართული ოჯახის შექმნას აპირებს, მალე ქართველი რძალი შემოგვიდა ოჯახში...

60 წელს გადავცილდი, პენსიაზე გასვლის დრო მოახლოვდა... ერთი ვიფიქრე — სიბერეს მშობლიურ უკრაინაში გავატარებ-მეთქი, მაგრამ გულმა სხვა მითხრა, — საქართველოს ვერ შეელევი, ვერ დათმობ მის მთა-ბარს, მის ფანჯრებში აკიაფებულ შუქს, რომელიც ალალად გამყავს 30 წლის მანძილზე. უკრაინას კი... ხშირ-ხშირად ვეწვევი და აქაურ მეგობრებს მოვუყვები საქართველოზე, ადამიანებზე, რომელთა სიყვარული სამარადჟამოდ ვიწამე, როგორც სამშვილიშვილო სარწმუნოება.

რევაზ მაჭავარიანი

ნაწროთობი

ოსკოვში, ყირიმობათა სახლში ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმაღლესი მნიშვნელობის ღონისძიება მიმდინარეობდა. როცა ტრიბუნა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სოფელ როვნოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ყირიმობის დელეგატს ივანე მაზუროვს დაეთმო, ახოვანმა ვაჟკაცმა გულწრფელად განაცხადა: „ჩვენს დიდ წარმატებებს სამართლიანად ვუკავშირებთ ხალხთა ძმობასა და მეგობრობას, სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც გაჩაღებული გვაქვს საქართველოს რესპუბლიკის მახარაძის რაიონის მშრომელებთან. განვლილ 30-ზე მეტი წლის განმავლობაში თავრიდელებისა და გურულების ძმური მეგობრობა გაიფურჩქნა და გაძლიერდა. იგი იწრთობოდა სამამულო ომის ჭურაში და ომისშემდგომ საკოლმეურნეო წარმოების უველა დარგის წინსვლისათვის გაწეულ ერთობლივ შრომაში. შეჯიბრება ჩვენს კოლმეურნეობებს შორის — ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონისა და საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის მშრომელებს შორის ნათელი დადასტურებაა ჩვენი ქვეყნის ხალხების ძმური მეგობრობისა, ჩვენი კავშირის ურღვევობისა“...

თავრიდის ტრამალის შუაგულშია კოლმეურნეობა „საქართველო“ და მახარაძის ქუჩაზე გახარებულა ქართულ მიწაზე გამოყვანილი სოჭი და ცაცხვი, თელა და ჭადარი, სათუთად მოვლილი მანდარინი და ფორთოხალი.

დიახაც, უყვარს უკრაინელს ქართველი და ქართველს უკრაინელი, თორემ, აბა რა გააძლებინებდა დავით გურამიშვილს პოლტავის მიწაზე ან ლესია უკრაინკას ქართული ცის ქვეშ. საქართველოში სიმღერად იქცა ჩვენი სახიჭადული მგოსნის გიორგი ლეონიძის სათქვამი:

—„მარად ბრწყინავდეს
ჩახჩახით,
ძმობის მზე მომავალისა,
სანამდის დნებარსა და
მტკვარში
დიოდეს წვეთი წყალისა“.

ეს სტრიქონები გენიჩესკში უკრაინულად ახმიანეს და ქალაქის თვალსაჩინო ადგილზე მხატვრული შრიფტით წარმოადგინეს როგორც ჩვენი ძმობის დასტური და საგალობელი.

ოცდათხუთმეტიოდე წლის წინათ მოსკოვში, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, მახარაძის რაიონის შრომის კოლმეურნეობის წარგზავნილები საქართველოს პავილიონში უკრაინის დელეგაციას გაეცნენ. გენიჩესკიდან იყუნენ. — ბევრი გვსმენია და გაგვიგია თქვენს სამშობლოზე. ისიც ვიცით, რომ ჩვენი კობზარი და თქვენი აკაკი ახალგაზრდობიდან მეგობრობდნენ და დიდი სიყვარული ჰქონდათ ერთმანეთისო, — უთხრეს თანამოსაუბრეებს.

...სიტყვა მისცეს ერთმანეთს, — მიწერ-მოწერა გაბეს.

შრომის კოლმეურნეობის ახალგაზრდა ხელმძღვანელი მიხაკო ორაგველიძე ერთობ დაინტერესა ამ შემთხვევამ. შეადგინეს უკრაინაში გასაგზავნი წერილი, მიტინგზე განიხილეს, მოიწონეს და გზა დაულოცეს. სოფელ როვნოში ბარათს სიხარულით შეხვდნენ. ამას მოჰყვა შეჯიბრებაში ჩაბმა და დამეგობრება, რამაც გამოძახილი ჰპოვა სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელორუსიაში და სხვა რესპუბლიკებში. ქართველ კოლმეურნეთა ბარათმა, რომელსაც გაზეთმა „პრავდამ“ „შესანიშნავი ბარათი“ უწოდა, შრომის მუსიკის ისეთი სიმფონია შექმნა, რომელმაც უთარგმნელად იპოვა ფართო შარავანდი.

ღვიძლი ძმებივით შეხვდნენ ერთმანეთს ორი მოძმე კოლმეურნეობის წარმომადგენლები. შეჯიბრება ძმობის ფიცით განამტკიცეს: „ეს მეგობრობა ისე მძლავრი და ურყევია, როგორც სალი კლდე, რომელზეც თავს გაიტეხს სხვებოთა ხალხის უველა მტერი“... რა იცოდნენ მაშინ ამ დოკუმენტის ხელმომწერებმა, რომ მალე საჭირო გახდებოდა მტრის წინააღმდეგ მართლაც ამგვარი სალი კლდის აღმართვა.

შრომასა და ზეიმში მიდიოდა დღეები.

— ივნისში, როცა ალოობას მოვრჩებით, ჩვენთან გელოდებითო, — იწერებოდა საპირველმაისო მოლოცვაში როვნოს კოლმეურნეობის მაშინდელი თავმჯდომარე კლიმენკო... და ცოტა ხნის შემდეგ მართლაც წავიდნენ უკრაინაში მახარაძელი მშრომელები, მაგრამ არა ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, არამედ საბრძოლო საჭურველსხმულნი, ვერაგი მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

...მტერი გენიჩესკს უახლოვდებოდა. მახარაძიდან გენიჩესკში წერილი აფრინეს, ვინაც იარაღის ხმარება არ შეუძლია, გამოგზავნეთ მახარაძეში, მო-



ქართველი და უკრაინელი მეგობრები

კიბერნეტიკის ახალი ცენტრი

მშენებლობა დამთავრდა საინფორმაციო-სამმართველო კორპუსის აგებით. ცენტრის მეორე რიგში, რომლის მშენებლობა უკვე ამ ხუთწლედში დაიწყება, შედის სამეცნიერო კორპუსი, სადაც მოემზადებიან ახალგაზრდა მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებმაც კიბერნეტიკაში მუშაობა გადაწყვიტეს.

— ინსტიტუტის განყოფილებებში ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლები სწავლობენ ასპირანტურაში და გადიან პრაქტიკას,—თქვა შემდეგ ა. სტოგნიმ.—ბევრ დიდმნიშვნელოვან საკითხზე ჩვენი კოლექტივი მუშაობს კოლეგებთან — რუსეთის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის, ლატვიის, მოლდავეთის, უზბეკეთისა და სხვა რესპუბლიკების კიბერნეტიკოსებთან ერთად. გათვალისწინებული გვაქვს მიმდინარე ხუთწლედში მოვაწყოთ რამდენიმე ათეული დიდმნიშვნელოვანი თემატური ცდა კიბერნეტიკის სხვადასხვა მიმართულებით.

ვ. რუდნიკი



სურათზე: ელექტრონული და გამოთვლითი მანქანების კიევის ქარხნის ერთ-ერთი საამწრო

საქართველოში რამდენიმე წელიწადია ცხოვრობს და შემოქმედებით საქმიანობას ეწევა ბერძენი ხალხის შვილი, პოეტი ქალი ფოტულა იანაკოპულო. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დაწვრილებით მოგითხრობდით ჩვენი გაზეთის 10 ნოემბრის ნომერში. დღეს გთავაზობთ ფოტულა იანაკოპულოს რამდენიმე ახალ ლექსს.

ახალი წლის ღამე სოფლად

თოვს... ფიფქები ნება-ნება
ფარფატებენ ცაში, —
მალე ზამთრის თეთრი ღამე
ფრთებს საამოდ გაშლის.
ტანმაღალი ალვის ხეი
გზისპირად რომ დგანან,
თითქოს თოვლში ჩაფლულ ჭიდებს
უმღერიან ნანას.
თოვლი მოდის, თოვლი მოდის,
თეთრი, როგორც ბროლი,
ცას ბოლქვებად ეფინება
ისფერი ბოლი.
ღრუბელთ შავი მანდილები
დაჰფენიან სრამებს,
შორით მთებზე გადმომდგარა
ახალი წლის ღამე.
ყველა სახლში ტკბილს და ნამცხვარს
ამზადებენ უხვად,
და დეიდა მარგალიტაც
არ შორდება ბუხარს.

კერისპირად მოხუცები
საუბრობენ მშვიდად,
ერთნაირად უხარია
ბიცოლას და ბიძას...
თოვლი მოდის, თოვლი მოდის,
თეთრი, როგორც ბროლი,
ცას ბოლქვებად ეფინება
ისფერი ბოლი.
მთებს და ველებს,
ზვრებს და ვაზებს
თოვლის ქურქი მოსავს, —
მოგილოცავთ, მოგილოცავთ,
ახალი წლის მოსვლას.
თუმც შორსა ვართ, მაგრამ თქვენთან
ვარ სულით და გულით,
თქვენი არის ეს სიმღერაც
საახალწლოდ თქმული.

ზამთარი

თუკი ზაფხულის თაკარა
მზე შთწყინდება თუკი,
შთვალ და გადაგეხვევით
წვიმა ჭათქათა ქურქით.
ძლიერი მუხლით მოვდივარ,
ვერვინ ვერაფერს მაკლებს...
მუხარის პირას ვარიგებ
პატარებისთვის ზღაპრებს.
და ჩემს დღეებზე ამბობენ
— სხვისას არაფრით არ ჰგავს!
მე მოვდივარ და მომყვება
სმისა და ჭამის მადა.
წადირობაზე დავდივარ,
ყველა ათასგვარ არაკს,
შეუმჩნეველად ვამთავრებ
თხილის და კაკლის მარაგს.
მე — სუსხიანი ზამთარი
ესადგურობ ყველას კართან,
ცარიელდება თანდათან
ჩემი გაშლილი კალთა.
მერე კი თქვენგან მივდივარ,
ისე, როგორაც წინათ,
მივალ და გადავიქცევი,
გადავიქცევი წვიმად.
დონემდინდილი მივდივარ
ოკეანეთა იქით...
მერე კი ისევ გეწვევით
თხილამურით და ციგით.

იანვარი

ხიბარული ვარ ახალი
და სიყვარულზე ვმღერი...
ჩემს მობრძანებას ბავშვი
გულის კანკალით ელის.

მოვდივარ, ჭეყნის მოკეთე,
გულის იარებს ვუხვევ,
მე ვარ სათნო და კეთილი —
ყველა ოცნებებს მიმხელს.

თეთრი სამოსით დავდივარ
ფებმებედნიერი მარად,
ყინვას და თოვლის ფანტელებს
ვარიგებ მთად და ბარად.

იანვნანა

წინსაფარზე გარსკვლავი გაქვს,
ვარსკვლავი გაქვს პატარა...,
ნეტავ ცაში აგეფრინა,
ზეცა შემოგვატარა.

ციურ ფრთოსნად მოგვწათლავენ,
როცა დაგვინახავენ...
მე წყაროზე სურით წავალ,
დავბრუნდები ახლავე.

ახალ ნამცხვარს გამოგიცხობ
თაფლისას და პურისას
და თოჯინებს დაგიპურებ,
გარდო, დედის გულისა.

დაიძინე, ჩვენი ზეცა
მზეს გინთებდეს მარადის,
ველი, როდის გამეზრდები,
გულადი და ტანადი.



„...არ გავცვლი სულს ქვეყანაზე“...

იტალიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ლადო არველაძე და მისი მეუღლე იტალია ტროიანი სამტრედიის რკინიგზის საავადმყოფოში გავიცანი. მოხდა ისე, რომ საქართველოში სტუმრად ჩამოსულებმა ავადმყოფობის გამო თითქმის თვენახევარი სარეცელზე გაატარეს. ექიმების ზრუნვასა და მონდომებას თავისი გაეტანა, ავადმყოფები თავს კარგად გრძნობდნენ და სიამოვნებით პასუხობდნენ ჩემს შეკითხვებზე.

● — პატივცემულო ლადო, როდის და როგორ აღმოჩნდით უცხოეთში?

— 1941 წელს, ალყაშემორტყმული სევასტოპოლის დაცვისათვის ბრძოლების დროს ტყვედ ჩავვარდი, ომის დამთავრება კი იტალიის მიწაზე ვიზეიმე. იტალიელებმა მიხსნეს სიკვდილისაგან, მათ შემიფარეს. ვერასოდეს დავივიწყებ მასწავლებელი ჭალის რეჯინა ლეპესა და მისი ძმების — ფერუჩიოსა და ჯეზუეს, პუნტილი დორინოს, მაია ბრუნელის, ჯოვანი ბონოს, ტომატო ჯიაკობოს, ნეგრონის, ლუჩია ჯოლინახის, ამალია დი პოცოსა და სხვათა სახელებს, რომლებიც უბრალო, ღარიბი ხალხი იყვნენ, მაგრამ მე დიდი ამაგი დამდეს.

● — კლგაძე ამიტომ შეუღლდით იტალიელ ქალთან? ამიტომ დასახლდით იქ?

— ჩემი სამშობლო საქართველოა! იტალია კი იმიტომ ავირჩიე საცხოვრებლად, რომ ყველაზე მეტად ჰგავს საქართველოს, იტალიელები — ქართველებს.

● — სამ ათეულ წელიწადზე მეტია არ გინახავთ მშობლიური ქვეყანა. რა განსხვავებას ამჩნევთ მაშინდელ და დღევანდელ საქართველოს შორის?

— მშობლიური სოფელი ლამის ვეღარ ვიცანი. ხალხი გამდიდრებულა, ძველი ქოხ-მახების ნაცვლად ორსართულიანი სახლები წამოუდგამთ, თვალში გეცემათ ძვირფასი ავეჯი, ხალხის მაღალი კულტურული დონე, ჩაცმულობა. თბილისი, სადაც სტუდენტობის წლები გავატარე, მართლაც საოცრად განახლებულა, გაზრდილა, განსაკუთრებით იგრძნობა ხარაჩოების სიმრავლე. ახალი გამზირები ტოლს არ დაუდებენ პარიზისა თუ რომის მრავალ ავენიუს. ძალიან მომეწონა თბილისის ზღვა, ქართული მეტროპოლიტენი.

● — თქვენ დიდხანს იცხოვრეთ ამერიკაში. რას გვეტყვით ძმაური ცხოვრების წესზე?

— კაპიტალისტურ სამყაროში ყველაფერი, ადამიანის ღირსებაც კი, ფულით იზომება, თუ ფული გაქვს, ადამიანიც ხარ, თუ არადა... ერთი კი აუცილებლად უნდა ითქვას — მუშა, მშრომელი ადამიანი, ამერიკელია იგი, იტალიელი თუ საბჭოელი, ყველა ერთი ბუნებისაა. მას შეგიძლია ენდო, აუცილებლად გაგიტანს. მე ეს საკუთარ თავზე გამოვცადე. გარდა იტალიელებისა, ახლო ურთიერთობა მქონდა ირლანდიელებთან, უნგრელებთან და სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან. მათ დიდი ამაგი დამდეს და არც მე შემირცხვენია ქართველი კაცის ღირსება.

● — როგორც ვიცით, ლიტერატორი ბრძანდებით. ვის იცნობთ თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან, რომელი მწერალი მოგწონთ?

— გალაკტიონი ჩემი საყვარელი პოეტი იყო და მის შემოქმედებასთან არასოდეს გამიწყვეტია კავშირი. ჩვენი სიამაყეა პროზის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია. იგი თამამად შეიძლება დავაყენოთ ევროპისა თუ ამერიკის უდიდეს კლასიკოსთა გვერდით. ვიცნობ სხვა თანამედროვე მწერლებსაც და ყოველივე ამას ვუმადლი უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარეს ოთარ გიგინეიშვილს, რომლისგან უზომოდ დავალებული ვარ. იგი მეუფერებელად, უსასყიდლოდ მიგზავნის ქართულ ლიტერატურას, რასაც კი ვთხოვ. ვიღებ გაზეთ „სამშობლოს“. 1971 წელს მისი მაშინდელი რედაქტორი ვახტანგ ესვანჯია ჟურნალისტ ედუარდ სიხარულიძესთან ერთად რომში მიწვია. მათ დიდად გამახარეს სტუმრობით. ეხლა კი ისევ მათგან ვარ დავალებული, რომ მე და ჩემს მეუღლეს დეტალურად გავაცნოთ თბილისის ღირსშესანიშნაობანი.

● — ქალბატონო იტალია, თქვენ თუ იცნობთ ქართულ ლიტერატურას?

— მხოლოდ რუსთაველს, შალვა ბერიძის პროზაული თარგმანის მეშვეობით.

● — მოგწონთ?

— გენიალურია. რუსთაველი და დანტე ალიგიერი ჩემი ყველაზე საყვარელი მწერლები არიან.

● — თქვენ ქართული არ იცით, უხერხულად ხომ არ გრძნობთ თავს ჩვენს შორის?

— პირიქით, მგონია ჩემს ქვეყანაში ვარ, ჩემი ქმრის სამშობლო ჩემთვისაც შობლიურია. აქ იმდენი სითბო, სიყვარული და სტუმართმოყვარეობა ვიგრძენი, რასაც ვერც ერთ ქვეყანაში ვერ შეხვდებით. ქართველებისთანა ნათესაობა არსად არ იციან. იტალიაში რომ ჩავალ, ყველას ვუამბობ, როგორი ხალხია ქართველები, როგორ ცხოვრობენ ისინი.

● — თბილისმა როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე?

— მშვენიერი ქალაქია. განსაკუთრებით მომეწონა ფუნიკულიორი, პანთეონი, სასტუმრო „ივერია“, კუს ტბა, თბილისის ზღვა.

● — ქალბატონო იტალია, საქმარ დრო დაკყავით საავადმყოფოში, თანაც პროფესიით ექიმის თანაშემწე ბრძანდებით, რა აზრისა ხართ ჩვენს სამედიცინო მომსახურებაზე?

— ვერ წარმოვიდგენდი, პირადად რომ არ განმეცადა, არავის დავუჯერებდი. მკურნალი ექიმის გარდა, ავადმყოფებთან ხშირად დადის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, რაც არსად არ შემხვედრია. მე და ჩემი მეუღლე 5 ოქტომბერს მოგვათავსეს საავადმყოფოში. უკვე თვენახევარია აქა ვართ, ექიმებმა ყველაფერი იღონეს ჩვენი გამოჯანმრთელებისათვის. ამნაირი მომსახურება ჩვენს ქვეყანაში ერთ მილიონ ლირაზე მეტი დაჯდებოდა, აქ კი ყველაფერი უფასოა. დიდი მადლობა ჩვენს ექიმს, საავადმყოფოს მთელ პერსონალს ესოდენი მზრუნველობისათვის.

● — პატივცემულო ლადო, რას უსურვებდით თქვენს მშობლიურ ქვეყანას? ქართველ ხალხს?

— უპირველესად უდიდესი მადლობა მინდა მოვახსენო საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ნება დამრთო კვლავ მეხილა ჩემი სამშობლო, ჩემი ხალხი, ნათესავები. მადლობელი ვარ ჩემი დისწულის მაგული ცხვარაძისა, რომელმაც მომიწერია და გულითადი მასპინძლობა გამიწია აქ. ბედნიერებას და მარადჟამ გამარჯვებას ვუსურვებ ჭართველ ხალხს.

● ერთი ტრადიციული კითხვაც — თქვენს მომავალ გეგმებზე რას გვეტყოდით?

— მიზანი ერთია, — დავუბრუნდე ჩემს ხალხს, ვიცხოვრო მათ შორის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

საუბარი ჩაიწერა
ვაჟა ნიკოლეიშვილმა

სურათზე: ლადო არველაძე და მისი მეუღლე იტალია ტროიანი სამტრედიის რკინიგზის საავადმყოფოს ეზოში.

დიდი გზის დასაწყისი

გახსოვთ ზღაპარი კეთილსა და ძლიერ ყმაწვილზე? — სხვა თუ წლობით იზრდებოდა, იგი საათობით იყრიდა ტანს, ვაჟკაცდებოდა, მუხლსა და მკლავში ძალას იკრებდა, რომ შემდეგ მთელი სიცოცხლე სიკეთე ეთესა ქვეყნად. კაცი, რომელსაც გაგაცნობთ, ამ ზღაპრისა არ იყოს, თვალსა და ხელშუა გაიზარდა, დავაჟკაცდა და ოცდაოთხი წლისა, სიბრძნით აღსავსე, სხვის აღზრდასა და ზრუნვაში აღამებს და ათენებს...

1971 წლის 3 ივნისი. თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე სადიპლომო ნამუშევრებს იცავენ. ერთმანეთს ენაცვლებიან ჭაბუკები და ქალიშვილები. და აი ხალხით სავსე აუდიტორიის წინაშე გურამ მუჩაიძეც წარსდგა. გურამმა დინჯად, აუღელვებლად ჩამოაყალიბა თავისი ნაშრომის ძირითადი დებულება და როდესაც სიტყვა ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, ცნობილმა მეცნიერმა, აწ განსვენებულმა პროფესორმა შოთა მესხიამ აიღო, მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა: მართალია, გურამის ნიჭიერება მისმა აღმზრდელებმა და მეგობრებმა სტუდენტობის პირველი დღეებიდანვე იწამეს, მაგრამ ჭაბუკის შრომისმოყვარეობამ ამჟამად მართლაც რომ არნახული შედეგი გამოიღო — ისტორიის ფაკულტეტის დიპლომანტის გურამ მუჩაიძის სადიპლომო ნაშრომი — „პარტიის შესახებ მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ჩამოყალიბება“, — განაცხადა პროფესორმა შოთა მესხიამ, — სპეციალისტებმა და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრებმა შეაფასეს როგორც საკანდიდატო დისერტაციის დონეზე შესრულებული მეცნიერული გამოკვლევა და გურამ მუჩაიძეს დაერთო ნება სადიპლომო ნაშრომი, ასპირანტურის გაუვლელად, დაიცვას ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სადიპლომო ნამუშევრის ესეთი შეფასება პირველია არა მარტო ქართული უნივერსიტეტის ისტორიაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში!



სურათზე: ქართული უნივერსიტეტის ახალგაზრდა ლექტორი გურამ მუჩაიძე ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

გურამი სტუდენტობის პირველი წლიდანვე ჩაება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში. მისმა სიბეჯითემ და დამოუკიდებელი აზროვნების უნარმა თავიდანვე მიიქცია აღმზრდელთა ყურადღება. სწავლის პერიოდში მან ოცდაექვსი სამეცნიერო შრომა გამოაქვეყნა. ჭაბუკი რამდენჯერმე იყო მივლინებული მოსკოვში, გერმანული ენის ცოდნა შრომას უადვილებდა, საშუალებას აძლევდა დედანში გასცნობოდა მარქსისა და ენგელსის ნაშრომებს...

დღეს გურამ მუჩაიძე თბილისის უნივერსიტეტის ლექტორია. 24 წლის ჭაბუკი სხვებს უკითხავს ლექციებს. ჩვენს მომავალ თაობას ასწავლის და აყვარებს ისტორიას.

გურამს, რომელმაც 1972 წელი როგორც თბილისის უნივერსიტეტის ლექტორმა განვლო, ვუსურვებთ ახალ წელიწადს და ვუსურვებთ ქვლავ ესეთი ძლიერი ნაბიჯებით ევლოს — მან ხომ ერთი კარგი ზღაპარი სინამდვილედ აქცია!

წითელი გული

1944 ასაკში შედიოდა... სამართალმა იძალა. ამ ძალვაში ეცვმოდნენ ადამიანები —დაღლილნი, დაქანცულნი, უძილონი, უჭმელ-უსმელნი, თუმცკი მრწამსმოძალებულნი საკუთარ თავის, თავიანების მიმართ, დარწმუნებულნი თავიანთი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. იხოცებოდნენ კერის, სოფლების, ქალაქების დასაბრუნებლად, გულისტკენისათვის, შეურაცხყოფისათვის, ნაწამები მშობლებისათვის, მეგობრებისათვის შურისძიების ალით დადაღულნი... იხოცებოდნენ დედამიწაზე მოძალებულ სიკვდილთან ბრძოლაში სიცოცხლეზე ოცნებამოწყურებულნი.

იხოცებოდნენ ისინიც — მიტყუებულნი, იმედგადაწყვეტილნი, დაცლილნი, ნაკაცარნი, ადამიანად წოდებული არსებანი, რომელთაც სრულად გამოცლოდათ რწმენა გუშინდელი და დღევანდელი დღისადმი, დაჰკარგოდათ რწმენა ერწმუნოებისადმი, იმედი უმიდობისადმი, მოსძალებოდათ აღზავებული სიძულვილი ბატონებისადმი, რომელთაც ისინი ექციათ მონებად, მანჭანებად, ბრიყვებად. იხოცებოდნენ სიბრალულით შებყრობილნი თავიანთი თავისადმი. ახლობელთადმი, თავისი ხალხისადმი — მშრომელი, გამრჯე, დამჯერი, არც თუ ყოველთვის თანახმა, მაგრამ მაინც დამჯერი ხალხისადმი; იხოცებოდნენ სანდისის ქენჯნითაც, აღზავებულ სამართალსა და სინამდვილეს რომ გაეღვიძებინა მათში, რაც ესოდენ საჭირო იყო საკუთარ თავის, ოჯახის წევრთა, თვისივე ხალხის გადასარჩენად... იხოცებოდნენ დედამიწაზე მოძალებულ სიკვდილისათვის ბრძოლაში სიცოცხლეზე ოცნებამოწყურებულნი.

ორთავე მხარეს ეცემოდნენ მოცელილნი. ეცემოდნენ ჭაბუკები, ცხოვრება რომ არ ეგემათ სულაც, ტუჩზე დედის რძით, შეშრობა ჯერაც რომ ვერ მოესწროთ დროის, სითბოსა და კერის უქონლობის მიზეზით. ეცემოდნენ მამებიც, ნიშნად რომ სტოვებდნენ დაღუპვის უწყებას ან სულაც არაფერს, პენსიას ჯავრით მოთელილ დედებისათვის, ბავშვებისათვის, მამები თვალიც რომ არ ენახათ ანდა სულაც დაჰვიწყებოდათ უდროოდ დაღუპულ დედების ბრალით. ქვრივებისათვის, ახალგაზრდობა რომ გაეფლანგათ ცრემლში, შიმშილში, სიცივეში, გათოშილ ლოგინში უიმედოდ ლოდინში.

დავიწყების სუდარა ეფინებოდა მცნებებს — კერის სითბოს, ოჯახის სისარულს, დასვენებას, შვებულებას, თბილ ლოგინს, შესვენებას, სადილს, საახალწლო ნაძვის ხეს, ბავშვობას... შეგნებაში მტკიცედ იყო ჩაჭედილი — სამშობლო, მამულეთი, დედის ზრუნვა, ლუკმა პური. სასურსათო ბარათები, მოვალეობა, შრომა, ბრძოლა, ბრძოლა, ბრძოლა.

ასაფლავებდნენ, მოთქვამდნენ, ტიროდნენ, გმინავდნენ, დუმდნენ, სულს ითქვამდნენ, ბოღმას იხრჩობდნენ, ქამრებს იჭერდნენ, ღამეებს ტენდნენ, სიკვდილს გუობდნენ, სისხლის დანახვა ჩვეულებად გადაჰქცეოდათ, მკვდრის წინაშე შიშს აღარ ჰგრძნობდნენ, მაგრამ სჯეროდათ, სწამდათ საკუთარი თავისა, მოსკოვისა, კრემლისა, სამშობლოსი სჯეროდათ, ძალიან სჯეროდათ, სწამდათ... მტკიცედ სწამდათ. წაართვი კაცს კერა, ოჯახი, წყალი, პურიც... ნუ წაართმევ რწმენას...

ესე იყო მოსკოვის შემდეგ, ესე იყო განსაკუთრებით სტალინგრადის შემდეგ.

ჩვენ გვწამდა... მათ დაჰკარგეს... რწმენა ურწმუნოებისა.

იმ ღამეს ჩვენთან, ჰოსპიტალში, ბევრნი არ დახოცილან — ნიკოლოზ ბოიკო ლუცკიდან, ცხრამეტი წლის ჭაბუკი, დროსტომატ აირაპეტიანი ოქტომბერიანიდან, ვაჟიშვილის ძებნაში ხუთი ქალიშვილის მამად რომ ქცეულიყო და თოთხმეტი წლის გალოჩკა იაკოვლევა, დედის თვალწინ რომელიღაც ობერტს რომ დაეჭრა წინააღმდეგობის გაწევისათვის... სხვა იმ ღამეს არავინ მომკვდარა.

დავასაფლავეთ ერთად. საფლავი გავთხარეთ სამმა: მე, ოცდაორი წლის ლეიტენანტმა, არმიის რიგებიდან დათხოვნას რომ ველოდებოდი ბარებოდი ინვალიდობის მიზეზით, სანიტარმა ძია გრიშამ — ჰოსპიტლის მესაფლავემ და გალოჩკას დედამ. დავასაფლავეთ ჩუმად, ხმისამოუღებლად, დავასაფლავეთ და იქაურობას გავცილდით — ეკატერინე ბორისოვნა დარჩა მხოლოდ, წასასვლელი არსად ჰქონდა.

— როდის მიდიხარ, შვილო?

— დილას გამწერეს, სადგურამდე სანიტარულ მანქანას გაყვები, მერე ვნახოთ.

— მოსკოვზე გაივლი?

— სხვა გზა არც არის.

— სპირიდონევკაზე, დღეს ალექსი ტოლსტოის შესახვევს ეძახიან, 22/2, ბინა 71, ჩემი დედაკაცი სახლობს, მეეზოვეა. რაც ხანი შინიდან წამოვედი, სულ ოწერებოდა, უკანასკნელი ოთხი თვე კი გაჩუმდა რაღაც, ნიშას არაფერს იძლევა. თუ დრო იშოვნო, შეუარე, ეს ბარათი გადასცე იქნება, უთხარი ცოცხალია-თქო, ჯანმრთელი... — მერე რაღაც გაახსენდა, კიბის ქვეშ მოწყობილ თავის სავანეს მიაშურა და ჰოსპიტლის ვესტიბიულში მცირე ამანათით დაბრუნდა. — აჰა, შვილო, სამიოდ სარეცხის საპონია, სისუფთავის გიჟია, ცოტაოდენი შაქარიც გამოვუზოგე, ძალიან უყვარს ჩაი, განსაკუთრებით ღამისეული შემოვლის შემდეგ იცის ხოლმე. თუ ვერა ნახო, მოპირდაპირე კარის მეზობლებს გადასცემ, თუ არა და... თუ... ვინ იცის... მაშინა, იყოს ნება შენი, შენ დაიტოვე, გამოგადგება.

* * *

მოსკოვამდე სამი დღე და ღამე ვიმგზავრე. ადრე, ომამდე, როგორც მოხუცმა გამცილებელმა ქალმა ამიხსნა, გზის ამ მონაკვეთს თორმეტ საათში გადიოდა მატარებელი, მერე ხელი ჩაიქნია და გაიცინა: — ეჰ, ადრე მეც ახალგაზრდა ვიყავი.

ჩაბნელებული ბელორუსიის სადგური ხალხით იყო გაჭედილი. ბევრნაირი ხალხი იყო, ძირითადად სამხედროები — დაჭრილები, გამოჯანმრთელებულნი და ინვალიდები. იყვნენ ქალებიც, ბავშვებიც, მოხუცებიც და უბრალოდ სამხედროები. უბრალოდ მამაკაცები არ იყვნენ. სადგური ჩაკეტელი იყო, საკომენდატო საათი ჯერაც არ დამთავრებულიყო. ისხდნენ, იწვნენ, ეყარნენ, ეძინათ, ეძინა ყველას, ან თითქმის ყველას, ეძინათ გრძელ სკამებზე, ბარგი-ბარხანაზე, ან სულაც იატაკზე. ფეხის ასაკიდი არსად იყო. იდგა ძილი, ფშვინვა, ოხვრა, გმინვა, რული.., სიფხიზლე არ ჩანდა. საჭირო არ იყო.

მოსკოვში საქმე არაფერი მქონდა, ან რა საქმე უნდა მქონოდა საერთოდ. მინდოდა თვალი შემევლო წითელი მოედნისათვის, კრემლისათვის, მავზოლეუმისათვის და ოდნავ მოსკოვისთვისაც. და შემესრულებინა ძია გრიშას თხოვნა. მერე გზას გავდგომოდი შინისაკენ, თბილისისაკენ. 6 საათზე საკომენდატო დრო ამოიწურა. უცებ შეიძრა ყველა, ქალაქში კი ბევრნი როდი გავიდნენ. ცოტაოდენს მეც აგუწყე ფეხი.

თვალში მეცა კედლების, სახურავების სიჭრელე, გულმოდგინედ რომ შეეღებათ უამრავ მუქ ფერად. ცაში ლივლივებდნენ საჰაერო თავდაცვის ვეებერთელა ბუთები, ცეპელინებს რომ მიაგავდნენ. მაღაზიების ფანჯრები ტომრებით იყო ამოგმანილი, ან სულაც აფიცრათ. ნანგრევები მოეწმინდათ, მესერით შემოეღობათ — დაკოდილი ადამიანის თვალს უფრთხილდებოდნენ. ტრამვაი არ იყო გაჩენილი. მეტროში კიდევ იგრძნობოდა ხალხმრავლობა.

ჩამოვედი მაიაკოვსკის სადგურზე — მართლაც, რით არ არის სხდომათა დარბაზი? წარმოვიდგინე 1941 ნოემბრის საზეიმო სხდომა, წარმოვიდგინე, დავფიქრდი ოდნავ და აღარ დავყოვნებულვარ. მოძრავი კიბით რომ ავდიოდი, მოპირდაპირე ესკალატორზე მდგომთა შორის თვალში მეცა ცისფერთვალება, ოქროსთმიანი, ღაჟღაჟა გოგო. თვალი ჩავაყოლე, იმანაც გამომაყოლა, კისერი მივიბრუნე, იმანაც ამომხედა და გაიცინა. „დამცინის“ — გავიფიქრე და გავსწორდი. უკან აღარ მომიხედნია. აღარც სხვისთვის შემიხედავს. ზევით რომ ამოვედი, სადგოომზე, ვიღაც მოხუცს, ბებიაჩემი რომ გამახსენა წუთით და ხელში ცარიელი ხელჩანთა ეჭირა, უმალ იმუდად, ჩვეულებად, ვიდრე პირდაპირი დანიშნულებით გამოსაყენებლად, შევკითხე — სპირიდონევკამდე როგორ უნდა მივიდე-მეთქი. გულმოდგინედ, ძალიან გულმოდგინედ ამიხსნა. უყვართ მოსკოველებს გულმოდგინე ახსნა, ნამდვილ მოსკოველებს.

მარცხნივ გავუყევი სადგოოის. მივაგენი პატრიარშის ტბორს, მალობრინს და სპირიდონევკასაც.

როგორც კი მესამე სართულზე ავედი და ლიფტიდან გამოვედი, მაშინვე 71 ბინის წინ აღმოვჩნდი. ღილაკს თითი დავაჭირე, ზარი არ დაირეკა. „ეტყობა, მოშლილია“. მივაკაკუნე... მერე გავიმეორე, კაცის ხმა შემომესმა.

— ვინ არის?

„რა სულელური შეკითხვაა! რა უნდა ვუპასუხო, ჩემი გვარი მოვახსენო თუ სახელი?“

— მე ძია გრიშას მეუღლე მინდა. „ეს რა სისულელე ამოვაყრანტალე, თუმცა სისულელე ყოველთვის სისულელეს ბადებს“.

— რომელი ძია გრიშა, რა ძია გრიშა? — თან საეტმა გაიჩხაკუნა და კარებში გამოჩნდა ყავარჯნებზე შემდგარი ცალფეხა კაცი. — აქ გრიშა არავინ არის. — მიპასუხა რამდენადმე დაწყნარებით, როგორც კი ოფიცრის წინ აღმოჩნდა. „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. ალბათ, რიგითი თუ იყო“.

ავუხსენი.

— ვერაფერს გეტყვით. ჩვენ აქ სამი თვის წინათ შემოგვასახლეს. შეეკითხეთ მაგათ, პირდაპირ. — და ვალმოხდილმა ვალმოხდილურად მომიხურა კარი ვალმოხდილს.

მეზობლები შინ არ აღმოჩნდნენ. მეორე სართულზე ჩავედი, ახალგაზრდა ქალმა ამიხსნა, რასაც თვითონაც ვხვდებოდი — ოთხიოდე თვის წინათ გარდაცვლილიყო ძია გრიშას ცოლი ლიდია ალექსეევნა, ბინაში სხვები შესულიყვნენ, დაბომბილი სახლის მკვიდრნი, რასაკვირველია, სახლმმართველობის ნებართვით.

— რამ მოკლა? — ვიკითხე ისე... ხომ უნდა მეკითხა რამ.

— არ ვიცი, არც მე ვიყავი აქ, შეეკითხეთ იმათ, მესამე სართულზე. კარის მეზობლებს, იმათ უთუოდ ეცოდინებათ. ისინი ახლოს იყვნენ მათთან, საერთოდ მთელ ოჯახთან. ბავშვებიანად მეზობლობდნენ, თუმცა ბავშვები... რაღა დროს ბავშვობაა. იმათ უთუოდ ეცოდინებათ...

მე უკვე ქვემოთ ვიყავი. საპონი, შაქარი და წერილი მე დამრჩა. კარის მეზობლებს დავუტოვებდი, ამათ არ დავუტოვებ. გული მეკმკინა, მაგრამ ცოტა ხნით. კურსკის სადგურისაკენ გზადმიმავალს რევოლუციის მოედანზე გადაჯდომა მომიხდა, იქ უფრო ხალხმრავლობა იყო. სადგურზე ინვალიდების რიგში სამ საათზე მეტხანს მიწია დგომამ. რიგში მდგომთაგან ბევრნი ლაპარაკობდნენ იმთისას-ამთისას, ბევრი რამ გავიგე, თვითონ არაფერი მითქვამს. ლაპარაკი არასოდეს მყვარებია, ახლა მით უფრო.

ბორის ლვოვიჩმა, საინტენდანტო სამსახურიდან, გადმოკარკლულ და ბისტმოდებულ თვალებს წამდაუწუმ რომ ახამხამებდა, პროტეზიანი კბილების სხაპუნით უამბო ყველას, რომ სულ მალე სადგოოზე გაატარებდნენ პაულუსის არმიას მთელი თავისი შტაბებით, გენერლებითა და სარდლებით. წამდაუწუმ ვარბოდა მოედანზე, შიშობდა — არ გამომეპაროსო. მსელელობა მართლაც შესდგა, ოღონდ გაცილებით გვიან, ვიდრე მას ლოდინით გათანგული ხალხი ელოდა, სადგოოს ორიენ მხარეს რომ იყო რიგებად ჩაწყობილი.

სადგური მყის დაცარიელდა, სალაროებთან მისვებული რიგები კი დაიმალა. „მოჰყავთ“ — და ყველა ერთად მიაწყდა გასასვლელს. მოლარეებმაც კი უნებართვოდ მიატოვეს თავიანთი პოსტები, ნებართვის მიმცემნიც გამქრალიყვნენ.

მე სადღაც კურსკაიასა და კრასნაია ვოროტას შუა დავიკავე ადგილი, გზათა სამინისტროს შენობის მხარეს, იმ სახლის წინ, რომელშიც დღესაც ცხოვრობს ცნობილი ქართველი მომღერალი დავით გამრეკელი. სიმაღლემ ხელი შემიწყო ყველაფერი დამენახა, თორემ უშისოდ გამიჭირდებოდა.

მოდიოდნენ გამართული რიგებით. თანაბარი ნაბიჯით, გაუჭიმავად, უამბიციოდ, არეულებივით. წინ მოდიოდა გენერალი ჟეზლით, ხელთათმანებით, მონოკლით, თვალებამდე ჩამოფხატულ ქაჟკეჭა ქუდით, მოდიოდა გამართული, მაგრამ დუნედ, თხუთმეტიოდე მეტრით დაწინაურებულიყო სხვა გენერალთა ჯგუფიდან, თავი ოდნავ დაეხარა. ფაშისტური არმიის, განსაკუთრებით გენერალიტეტის, ჩინებში ცუდად ვერკვეოდი, ამიტომაც დღემდე არ ვიცი, ვინ იყო ის. ამბობდნენ, თითქოს თვით ფელდ-მარშალი პაულუსიაო, მაგრამ არა მგონია. თუმცა, ვინ იცის. მოდიოდა მარტო, დაწინაურებული, ოდნავ თავჩაღუნული, ოღონდ გამართული ნაბიჯით.

მოდიოდნენ ჩამჭრალ ლავასავით, ფართო მწკრივებად, უსასრულოდ, გაუთავებლად, ათასეულად დაწყობილნი, თავთავიანთი ოფიცრებით. ათასეულიდან ათასეულამდე ათიოდ მეტრი დისტანცია იყო დაცული. იმ დისტანციაში ხშირად გამოჩნდებოდნენ ხოლმე საჭიროებით ჩამორჩენილნი, სახელდახელოდ რომ ისწორებდნენ თავიანთ სიშიშვლეს — მოდიოდნენ დიდხანს, ადამიანური არსება კი თავისას იქმოდა, მოითხოვდა მოსათხოვარს.

მოსკოველები დუმილით გაჰყურებდნენ, თვალებში სიძულვილს უკრთოდათ, თუმცა კი სდუმდნენ. ნაბრძანები იყო, ტყვეები არ შეურაცხყოთ. ბრძანება ზემოდან მოდიოდა, ამიტომაც ასრულებდნენ განსაკუთრებით. თვალები მაინც უკრთოდათ, უელავდათ.

— ნადირები! — ხმადაბლა თქვა გვერდით მდგომმა ხანში შესულმა მამაკაცმა, მარჯვენა სახელური ცარიელი რომ ეკიდა მხარზე, — ეღირსათ მოსკოვში შემობრძანება! „ყველას თავისი!“ — ინებეთ.

— ღმერთი იყოს მაგათი შემწე, — კიდევ უფრო ხმადაბლა წარმოთქვა თეთრხილაბანდიანმა დედაბერმა და პირჯვარი გადაიწერა სამჯერ. ალმაცერად გადახედეს.

იდგა ტკივილი, გაბოროტება, სიძულვილი, დუმილი. იყო ძალიან ბევრი მოკლული, ნაწამები, დაობლებული, დაქვრივებული, შვილდაკარგული, გულმოკლული, დასნეულებული, ხეიბარი. ჭრილობები ჯერაც იწვოდნენ. ბევრნი კვლავაც უნდა დაცემულიყვნენ, მათ შორის აქ მდგომთა შვილებიც, ქმრებიც, ძმებიც, მამებიც. მდგომთ ეს იცოდნენ და სდუმდნენ. ნაბრძანები იყო დუმილი, იმ დუმილში იყო სიბრძნე, დიდი, ძალიან დიდი სიბრძნე. ესენი აღარ დახოცავდნენ არავის... არც თვითონ დაიხოცებოდნენ. ამათით, — ათასებით, ათი ათასებით, ასი ათასებით, — ომი დნებოდა, ილეოდა, იწურებოდა...

მცველები უმალ თადარიგისა და ლაზათისათვის ახლდნენ — მათ არსად და არაფრისათვის არ ჰქონდათ გასაქცევი, მათთვის ომი დამთავრდა, ისინი ცოცხლები დარჩნენ, ისინი კმაყოფილნი იყვნენ. იყვნენ უკმაყოფილონიც, კაცნიერნი. ამათ. მათთვისაც დასრულდა ომი, და მათ კმაყოფილნი კაცნიერების გამოხატვის ნებას არ მისცემდნენ, ხელს შეუშლიდნენ წინააღმდეგობის გაწევაში, გაჭედვაში...

ბოლოს მოდიოდნენ ქუჩის სარეცხი მანქანები. ისინი ადამიანურ გასაჭირს რეცხდნენ. გასაჭირით მოძალებული დალხინებით მოძალებულისაგან არ განსხვავდება. სადღოე კი ბაღნარს ნიშნავს...

ღამე კურსკის სადგურზე გავათიე, მოსკოვი-თბილისი გათენებისას დაიძრა სამხრეთისაკენ. გზა სტალინგრადზე გვედო. სტალინგრადში სტალინგრადი არ იყო — იყო ნანგრევები, წნელივით დაგრეხილი ლიანდაგი, დამსხვრეული ტანკები. რონოდები, გადაბრუნებული ორთქლმავლები, ვაგონთა დამწვარი ჩონჩხები, იყო ბეტონის ძალიან ბევრი, არ იყო თვით სტალინგრადი... იყო გაჩერება, სადგური არ იყო. მეზობელ ვაგონში ისხდნენ ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვები, ამასთანავე რომ მიჰყავდათ. სადგური არ იყო, ადუღებული წყალი იყო, სადგურს სახელდახელოდ აკეთებდნენ, მაგრამ ჯერ არ იყო. იდგა წითელქუდა მორიგე, თეთრებში, წელ წამოცმული კალოშებით, სათითეებმორღვეული ხელთათმანებით. წითელი ბაირაღი ბუდეში ჰქონდა ჩახვეული, მწვანე ხელში ეჭირა... ვაგონებში მძიმე სუნი იდგა — დაუბანელი იარები, ოფლი, ცრემლი, ბანჯას გადაჩვეული ადამიანები... ათას ცხრაას ორმოცდათხუთი ასაკში შედიოდა, თუმცკი ჯერაც ახალგაზრდა იყო.

* * *

ჩემი მარცხენა თვალის შესახებ, უმალ თვალის ცარიელი ბუდის შესახებ, დედაჩემს უკვე მოვუწერე ჰოსპიტლიდან. დედამ მხნედ მიწუწუა — ზოგი ჭირი მარგებელიაო. მე სხვა აზრისა გახლდით, ნუგეში მეამა, მაგრამ მაინც ნუგეშად დარჩა, იმიტომაც სევდა მომეძლა თბილისის მისადგომებთან. ბავნობ სადგურზე კი, საიდანაც ყოველ საფხულს არდადეგების გასატარებლად სოფელში მივემგზავრებოდით ხოლმე ბებიასთან, სევდა განგაშად, ტკივილად მექცა. განსაკუთრებით ამიხირა საგულდაგულოდ შემოსვეული სიცარიელე, ბინტის სისუფთავით ნამდვილად რომ არ გამოირჩეოდა, როგორადაც ეს შევნიშნე თანამგზავრი ყუბანელი დედაკაცის ჩემოლნის შიდა მხარეზე მიკრული სარკეში. ადრე სარკეში არ ჩამიხედია.

სადგურიდან შინ არ წავედი, არა. შინ გული არ მიწევდა. მაგ ჯერ კიდევ ომის წინ დამკლუპა, ერთადერთი ძმისაგან ორი წელიწადია არაფერი ისმოდა, და სულაც არ მყავდა. დედა... შინ გული არ მიწევდა. თან ეს ჭუჭყიანი ბინტიც... დედა მაშინვე შემსწრეა...

თვალის კლინიკაში, ამყამად ჰოსპიტალში, გვარიანი გალახვეც გამიკეთეს. გამოცდილმა ექიმმა დამიმედა, იარა კარგად შეხორცებულა და რამდენიმე ხნის შემდეგ კარგი ხელოვნური თვალი ადვილად მოგერგებაო, რადგან ჯანმრთელი თვალის საფერო წყვილი ადვილად შეირჩევაო. თან ისიც მირჩია, ნუ აჩქარდებით. იმ „თვალის“ საშოვნელი ადგილი არ უხსენებია, მიაყურისძირა. არც მე მიკითხავს — უკითხავი, აბა, რა საკითხავი იყო. გამოთბოვებისას ახალი ბინტი მაჩუქა და ხელი რომ გულიანად ჩამომართვა, სათადარიგოდ ძველი ბინტის წამოღებაც მირჩია.

— ძველებს ნუ გადაჰყრით, კიდევ გამოგადგებათ.

შეროზიას ქუჩიდან გავწიე სკოლისკენ, რომელშიც პირველიდან მეათე კლასამდე ვსწავლობდი, შიგნით შესვლა გადავიფიქრე — იქაც ჰოსპიტალი მოეწყოთ. სკოლის წინ გავჩერდი, ბიჭები გავიხსენე, მერე გოგონებიც. ბიჭებზე უფრო დიდხანს ვფიქრობდი. ოთარი მე თვითონ დავმარცვ მინსკთან, ცალკე, მინსკის სვეტოფორიდან ოდნავ მოშორებით, აღმოსავლეთის მხრიდან, ომის დაწყების პირველსავე დღეს. დანარჩენებზე არაფერი ვიცოდი.

შინ გული არ მიწევდა. ოთარის დედის ნახვაც აღარ მინდოდა. არავის ნახვა აღარ მინდოდა. უკან მინდოდა წასვლა, ბავშვობის, სიხარულის, ბედნიერების ქალაქიდან გაქცევა მეწადა. მაგრამ საღ, საღ უნდა წავსულიყავი? ბებიაჩემი რა სანია აღარ იყო. „სულ ერთია, შინ მაინც არ წაეალ“. პირველზე დავჯექი, ისევ სადგურისაკენ გავწიე. კონდუქტორი ქალი ჩემსკენ არ წამოსულა, როგორადაც ამას სხვების მიმართ იქმოდა. „მიბრალებს“. თვითონ მივედი, ბილეთი ავიღე, ნომერს დავხედე... „სისულელეა“ — არ გამიმართლა. სადგურთან არ ჩამოვსულვარ. უკანვე გამოვყე ტრამვაის. კონდუქტორმა ამჯერადაც გვერდი ამიქცია, ვითომ ვერც შემამჩნია. აღარ ავმდგარვარ — „მოხდეს, რაც მოსახდენია. აქედანვე უნდა გავუძლო თორემ დავეცემი“. მთელი ვაგონი მე მიყურებდა, ქურდულად, რასაკვირველია. განსაკუთრებით ქალები შემომცქეროდნენ, ხანში შესულნი; არც ახალგაზრდები მაკლებდნენ, ბავშვებიც, რასაკვირველია. „უნდა გავუძლო“.

ჩამოვედი. მოკლე გზით ავედი ვერის აბანოსთან. აბანო მუშაობდა. შევედი. სომეხი მექისე, ბერიკაცი, სულ კრუტუნით მწველდა, სახსრებს ძალუმად მიტკაცუნებდა, ძალ-ღონეს არ იშურებდა, გაჩიკული თითებით თითოეულ კუნთს დაჰფუსფუსებდა, „ფულიანი ვაგონიარ“. სითბომ და დაზელვამ, მერე კი ქისამ და საპნის ქაფმა თავისი გაიტანეს — გულზე სიმსუბუქე ვიგრძენი.

— თავიც დაგბან, გინდა? ფრთხილად გაგიკეთამ.

— არ გინდა, თავს დედა მბანს. — ესე იყო ბავშვობაში, ბავშვობა წავიდა, დედა ალბათ, მაინც დამბანდა, თანაც სიხარულით, სიხარული ცოტა იყო.

რაზე შრიალებენ ვაშლის ხეები?

(ნარკვევი)

დღეს გიამბობთ ქართველი ერის სისხლ-ხორცის ბედზე, რომელიც უკრაინამ ღვიძლი შვილივით შეიყვარა. უბრალო კოლხი გულის შვილმა პატივი და სახელი მოიხვეჭა. უკრაინამ მას მიანდო თავისი მომავალი, თავისი გრანდიოზული გეგმები.

ბორის გერასიმეს ძე ცომაია — უკრაინის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თავდადებული შრომისათვის დაჯილდოებულია წითელი დროშის სამი ორდენით, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

... ღია ფანჯრებიდან სიმღერა მოისმის. იგი აღსავსეა სინაზით, გულწრფელობით, სითბოთი, აღარ შრიალებენ კიევის წაბლის ხეები, სანუკვარ ოცნებას გაუტაცია საახალწლო კიევი. გამვლელნი ყურს უგდებენ, იღიმებიან. სიმღერა მათ კვალდაკვალ მიჰყვება.

„თბილისო, მზის და ვარდების მხარეო“...

— ცომაიასთან ქალიშვილი, — ღიმილით გეუბნებიან მეზობლები. — ძმები ჩამოუვიდნენ საქართველოდან — ილია და შოთა...

ტკბილი მრავალეროვანი ოჯახი უზის მაგიდას. ქართული სტუმართმასპინძლობა ისეთია, რომ ყველას თვის იპოვნიან ადგილს:

— მობრძანდით, მეგობარო, მობრძანდით, მეზობელო!

საახალწლო დღეებში ბორის ცომაიას ფიქრები შორეულ ვალერსება, სიმღერის ფრთებით მიფრინავს მშობლიურ საქართველოში, ახსენდება მთელი თავისი ცხოვრება...

... სირიაჭყონი — პატარა სოფელი, სულ ასიოდე კომლი თუ იქნება — კოლხეთის დაბლობზეა. შრიალებენ მანდარინის ბაღები. დღევანდელმა თაობამ, ალბათ, გადმოცემით თუ იცის, როგორი იყო ძველად სირიაჭყონი. აჭაურობისათვის ჩვეულ წყალდიდობას მიჰქონდა ჭაობში მოყვანილი ლობიოსა და სიმინდის ისედაც მწირი მოსავალი. და ვერაფრით გაეგო პატარა ბორისს, რატომ გასცქეროდა ხოლმე შეშფოთებით დედა — სერმინე ჩაკუშტულ ზეცას, მთების ფონზე რომ მოჩანდა.

რარიგ გაოცდებოდნენ იმდროინდელი სოფლის თავკაცნი, ნახევარი საუკუნით რომ განეჭვრიტათ მომავალი. ღარიბი გლეხის გერასიმე ცომაიას შვილებს ნათელი მომავალი ელოდათ.

ხალისიანი და ბედნიერი ძმები დინჯად საუბრობენ.

— როგორა ხარ, ილია?

— კარგად, ბორის. ჯამენებ. კარგია შენება!

— შენ რასა იქ, ბორის?

ბორისს თითქოს არც კი გაუგონია შეკითხვა.

და აი ერთხელ — ეს იყო 1932 წელს — გორში დელეგაცია ჩამოვიდა. ისინი უცხო, მელოდიურ ენაზე საუბრობდნენ. ვაჟკაცები წარმოსადეგნი, მხარბეჭიანნი იყვნენ, ქალიშვილები... ქალიშვილებს მწიფე თავთავისფერი ნაწნავები და ზღვასავით ღრმა, ლურჯი თვალები ჰქონდათ. ახალი მეგობრები ბორისს ესაუბრებოდნენ მშობლიურ უკრაინაზე, ნიკოლაევსკის ხომალდსამენებელ ინსტიტუტზე. და მღეროდნენ თავიანთ ტკბილ, ხან ნაღვლიან, ხან ხალისით აღსავსე სიმღერებს.

და კოლხი ჭაბუკი გაჰყვა მათ.

სიმღერა ვაშლის ხეებზე

(ნარკვევის გაგრძელება)

— აშენებ? მართალი ხარ, ძმაო, მართლა კარგია შენება!

მისთვის ნაცნობია შემოქმედების სიხარული.

როდის იყო? ბავშვობაში დედამამამ ბიჭები ზღვაზე წაიყვანა — სოფელი საკმაოდ ახლოს იყო ზღვასთან. და პატარა ბორისი ლამის ავად გახდა. ზღვის ლაჟვარდმა დაატყვევა ბიჭუნა. ვერ გაიგო, რა იყო ეს აბობოქრებული გრძნობა. რა იცოდა მაშინ პატარა ბიჭმა, რომ პოეტებმა ამ გრძნობას ზღვის ძახილი უწოდეს... დიდი ხნის შემდეგ ამ სხმა საბოლოოდ დაიმორჩილა იგი.

სწორედ მაშინ თბილისის ტექნიკუმში დაამთავრა და გორში გაგზავნეს სამუშაოდ. აქ ხშირად ჩამოდიოდნენ სტუმრები.

იგი ნიკოლაევსკის ხომალდსამენებელ ინსტიტუტში შევიდა.

მას შემდეგ სამუდამოდ შეუყვარდა უკრაინა და თავისი მეორე სამშობლო უწოდა. შეუყვარდა აჭაურები, მისი მდუმარე, ლამაზი ველკაბი, მდინარეები, მისი ენა; შემოქმედების სიხარულიც მისთვის დაკავშირებული იყო უკრაინასთან, მოკლე ბრძანებასთან — „დასძარ!“ და გემის კორპუსზე შემსხვრეულ შამპანურის ბოთლთან.

შემდეგ, ფოთში რომ მუშაობდა გემთშემკეთებელი ქარხნის დირექტორად და შავ ზღვას ომის ჭარცცხლი აჭაფებდა, ბორის ცომაია კვლავ აცილებდა ხომალდებს. ფაშისტთა ჩექმის ქვეშ გმინავდა ჭრილობებით დასერილი უკრაინა, სამამულო ომის ცეცხლი მოსდებოდა რუსეთს. აქ, ფოთში, ფრონტი თავს უყრიდა ძალებს, რეზერვს. ჭრილობამოშუშებული ხომალდები ნელა ეშვებოდნენ წყალში. ბორის ცომაია ალერსით გადაუსვამდა ხელს საბრძოლო ხომალდის კორპუსს და იმეორებდა:

— გზა დამილოცავს, მოხუცო! გამარჯვებით დამიბრუნდი!

... თბილისი პატარძალივით მორთულა. თბილისი მასპინძლობს დედამიწის ყველა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს, რომლებიც საერთაშორისო სიმპოზიუმზე შეკრებილან. ეს იყო 1970 წელი. უკრაინის დელეგაციის მეთაური (იგი პირველად როდი ხელმძღვანელობს საერთაშორისო ფორუმებს) მოგონებებს მისცემია. ბორის ცომაია ველარ ცნობდა თბილისს: როგორ გაზრდილა, დამშვენებულა... წვიმით დანამული გამზირები თვალს ხიბლავდა. და როცა ამ გამზირებს შესცქეროდა, უკრაინის დელეგაციის მეთაურის ფიქრები თავს დასტრიალებდა წარსულს, აწმყოს, მისი ოცნება შეეპყრო მომავალს.

მოლურჯო მთები ლივლივებენ ცის ტატნობზე. თბილისში ცხოვრება ჩქეფს... იური, ალბათ, უკვე სამუშაოზეა „ლენინურ სამჭედლოში“ (ბორისის ვაჟიც ხომ ხომალდმშენებელია! როგორც ჩანს, ზღვის ძახილი პოეტების მოგონილი არ ყოფილა!); ძერჟინსკის სახელობის უმაღლეს საზღვაოსნო სასწავლებელში, სადაც მისი უმცროსი ვაჟი ვლადიმერი სწავლობს, ყმაწვილები სწავლას ესწრაფვიან...

შორია თბილისიდან კიევამდე. ბევრი საზღვარი უნდა გაიარო გზად. მაგრამ ამ პირობითს საზღვრებზე არ დგანან ჯარისკაცები. მათ ნაცვლად ვაშლის ხეები შრიალებენ. ყური მიუგდეთ გაზაფხულზე მათი ფოთლების შრიალს. ისინი გიამბობენ ამქვეყნად ყველაზე ნათელ გრძნობაზე — მეგობრობაზე, რომელმაც არ იცის, რა არის საზღვრები.

ელეონორა კირილენკო
კიევი



სურათზე: გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარე გრიგორ ლეგუნოვი (მარჯვნივ) და კოლმეურნეობა „როვნოს“ თავმჯდომარე ივანე მაზუროვი გვირგვინებით ამკობენ მახარაძეში აღმართულ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა სადიდებელ ობელისკს.

მეგობრობა

ჯუვლით, ვუპატრონებთ, არაფერს მოვაკლებთო. გენიჩესკელებმა მოძმეთა დახმარება მიიღეს. ეშელონიც ჩამოდგა სადგურში, ტოვებდნენ მშობლიურ კერას, მაგრამ იცოდნენ, მოდიოდნენ მეორე სამშობლოში და გულს სატკივარი აკლდებოდა. წუთებს ითვლიდნენ წამოსვლამდე, მაგრამ იმ პირველ ორთქლმავალს სადგურიდან გამოსვლის ნიშანი აღარ მიუცია... გათენებისას რკინა და ხორცი, სისხლი და მიწა ერთად იყო აზელილი.

დაე, მიწა იწვოდესო ფაშისტ დამპყრობთა ფეხქვეშ! — თქვეს ამ ტრაგედიით შეძრწუნებულმა შინდარჩენილმა შრომის კოლმეურნეობის წევრებმა, მილიონ მანეთზე მეტი შეიტანეს სატანკო კოლონების მშენებლობის ფონდში და უმაღლეს მთავარსარდლობას სთხოვეს, მათი თანხებით აგებული ტანკები უკრაინის განთავისუფლებისათვის მებრძოლ ჯარებში გაეგზავნათ.

ომის წლებში შრომის კოლმეურნეობა გენიჩესკელთა მეორე ოჯახი გახდა. აქ ჩამოდიოდნენ დაჭრილი გენიჩესკელები, აქ იშუშებდნენ ჭრილობებს, აქ ეძებდნენ დაკარგულ ნათესავებსა და ახლობლებს. „შრომის კოლმეურნეობა პატარა სამებრო ბიუროდ გადაიქცა“. არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხოთ ამ კოლმეურნეობის მეგობრობის მუზეუმში გამოფენილი ათასობით გენიჩესკელთა ომისდროინდელი წერილები, რომლებსაც წითელ ზოლად გასდევს ის, რომ ყველა მათგანი მშობლის, ნათესავის, მეგობრის სახელზე გაგზავნილი წერილის შინაარსს ატარებს, თუმცა გამოშვებული უკრაინელია, ადრესატი კი — ქართველი...

ომის ცხარე დღეებში თბილისის ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ გენიჩესკელი ვასილ ლავრენტიევი სოფელ შრომაში წამოვიდა ჯან-ღონის მოსაკრებად. სოფელში შემოსვლისას შრომელი კოლმეურნე მელიტა მჟავანაძე შეხვდა. დედის გულმა მაშინვე ამოიცნო დაჭრილი ჯარისკაცის სულში დაფარული უთქმელი გრძნობები, ხელი ჩახუტა და შინ წაიყვანა, დედური სითბო დაახვედრა, გამოაშუშა და ისევ ფრონტს დაუბრუნა საუვარელი შვილობილი.

მოგვიანებით ვასილი კვლავ ჩამოვიდა შრომაში, თუმცა იცოდა, დედობილი აღარ შეხვდებოდა ეზოს ჭიშკართან... იგი დატუქსული ბავშვივით თავდახრილი იდგა სახლის კიბეზე. მერე წავიდა საფლავზე, ზედ წაუწერა: „ძვირფას დედას, მელიტა თედორეს ასულს! შენი დედობრივი ზრუნვა, სიყვარული და ალერსი ომის ძნელ წლებში მუდამ დარჩება ჩემს ჯარისკაცურ გულში!“

შრომის კოლმეურნეობის მეგობრობის მუზეუმში ათუთად ინახება გენიჩესკიდან ჩამოტანილი იმ მიწის ნაწილი, რომლის ქვეშაც სამარადისოდ განისვენებენ ბრძოლაში გმირულად დაცემული ქართველები — კაპიტანი იოსებ ციცქიშვილი, მერაბ ბერძენიშვილი, შოთა გაგნიძე, კონსტანტინე მუქერია, ივანე თაბაგარი, გიორგი ხიხაძე და სხვა მრავალი.

სევასტოპოლის მისადგომებთან შეხვდნენ ერთმანეთს და სამარადისო ძმობა შეჰფიცეს გენიჩესკელმა გრიგორ ლეგუნოვმა და მახარაძელმა სერგო ჩხაიძემ. სწორედ იმ ცხარე ბრძოლებში დაიმსახურა სერგომ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

დამთავრდა ომი. ფრონტელი ძმადნაფიცები ხშირად მოიკითხავდნენ ერთმანეთს. საოცარი დამთხვევა მოხდა. გრიგორ ლეგუნოვი კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარედ აირჩიეს გენიჩესკში. სერგო კოლმეურნეობა „უკრაინას“ თავმჯდომარეობდა მახარაძეში.

უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში განვლო თავისი უკანასკნელი საბრძოლო გზა საბჭოთა კავშირის გმირმა, 40 წლის გენერალ-პოლკოვნიკმა მახარაძელმა კონსტანტინე ლესელიძემ...

1943 წლის 30 ოქტომბერს ზეიმი იყო მახარაძეში. ჩვენმა ჯარებმა გენიჩესკის რაიონი გაათავისუფლეს. გაჩაღდა შრომა დაკნინებული სახალხო მეურნეობის აღსადგენად. მახარაძელებმა არ დაიშურეს თავიანთი სახსრები და შესაძლებლობანი გენიჩესკელთა დასახმარებლად. პირველ დღეებში-ვე გაგზავნეს მარცვლეული, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, საოჯახო ნივთები, პირუტყვი.

შრომის, ბახვის, ძიმითის, ნაგომრის, ბაილეთის, ჯუმათის საკოლმეურნეო მეგობრობის მუზეუმები, გენიჩესკის ქუჩა მახარაძეში, მახარაძის ქუჩა გენიჩესკში, მონუმენტები, ობელისკები, მეგობრობის ტყე-პარკი ექვდიაზე — ჩვენს შთამომავლობას გადაეცემენ წმინდა ტრადიციებს. ისტორიის კუთვნილებად გახდება იმ დიდი ზეიმის დღეები, რომელიც უკრაინასა და საქართველოში მოეწყო მახარაძისა და გენიჩესკის მშრომელთა ძმობისა და მეგობრობის 30 წლისთავის აღსანიშნავად. მახარაძელებს ახარებთ, რომ რაიონის სახალხო მეურნეობაში ამჟამად მუშაობს ბევრი სპეციალისტი, რომლებმაც ხერსონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრეს, ბოლო ჩვენს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერების საფუძვლებს ეუფლებიან უკრაინელი, რუსი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. გვეამაყება, რომ ამ ინსტიტუტში დაიცვა სამეცნიერო ხარისხი ბევრმა უცხოელმა მეცნიერ მუშაკმა.

100-ზე მეტ სოციალისტურ შრომის გმირს შორის ცოტა როდია მოძმე ხალხთა წარმომადგენელი, ხოლო მათ შორის ერთს—მეჩაიეს, უკრაინელ ქალს ლიდია კოსენკოს ეხლახან მიენიჭა ეს საპატიო წოდება.

მეგობრობის ფესვებს ჩვენთან ღრმა ნიადაგი აქვს. იგი საბავშვო ბაგიდან და ბაღიდან იწყებს აღმოცენებას და შემდეგ ფართოდ გასწევს უკიდეგანო პორიზონტებისაკენ...

დიდხანს არ დავიწყებთ გენიჩესკელ და ხომსეთის სსრ ოქტომბერიანის რაიონის დელეგაციის წევრებს მახარაძეში, „მეგობრობის პარკში“ გამართული მეგობრობის დღესასწაული, რომელმაც შემდეგ სოფელ ნატანებში „მეგობრობის ბაღში“ გადაიტანა და ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ რაოდენ მტკიცე და ურღვევია ის ძმობის ხიდი, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ამ 50 წლის წინათ გაიდო.

ალექსანდრე თოიძე.

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მტკიცდება ერთიანობა


ნლითიწლობით ვითარდება და მტკიცდება უკრაინის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა ყველა მოკავშირე რესპუბლიკასთან.

უკრაინა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობას აძლევს ქვანახშირს, ლითონს, ფოლადისა და თუჯის მილებს, მაგისტრალურ თბომავლებს, ავტომობილებს, ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, მძიმერალურ სასუქებს, ელექტროტექნიკურ და რადიოტექნიკურ აპარატურას, საშენ მასალებსა და ბევრ სხვა პროდუქციას.

ამავე დროს უკრაინა მრავალფეროვან პროდუქციას იღებს ქვეყნის ყველა კუთხიდან. მაგალითად, რუსეთის სფს რესპუბლიკიდან მოდის ფერადი ლითონები, ელექტროძრავები, მეტალურგიული მოწყობილობა, ხე-ტყე, სახალხო მოხმარების საქონელი, ბელორუსიიდან — ტრაქტორები, ჩარხები, ავტომობილები, რადიოტექნიკური ნაწარმი, ბელდოზერები, ყაზახეთიდან — ფურცლოვანი ნაგლინი, ფერადი ლითონები, პოლიმეტალის მადანი, საქართველოდან — ჩარხები, სატვირთო ავტომობილები, სომხეთიდან — ტუმბოები და ელექტროძრავები, აზერბაიჯანიდან — ნავთობი და ნავთობპროდუქტები... უკრაინის მეტალურგიული, ქიმიური, მსუბუქი, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგების უდიდეს მშენებლობებზე სხვადასხვა ავრეგატს, ჩარხს, ხელსაწყოს გზავნიან ურალის მანქანათმშენებელი ქარხანა, ლენინგრადის „ელექტროძალა“, მინსკისა და თბილისის ჩარხსაშენებელი, უზბეკეთის საფეიქრო მანქანათმშენებლობის ქარხნები და სხვა საწარმოები.

უკრაინელი მშრომელები აღსავსე არიან მადლიერების გრძნობით იმის გამო, რომ მოძმე ხალხები მეგობრულად ეხმარებიან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას.

გ. ანდრუსენკო,
უკრაინის სსრ მთავარმომარაგების უფროსის მოადგილე.



კალუგის ქიმიურ-მეტალურგიული კომბინატი

მუშათა დინასტია

ჩვეულებრივ, მხოლოდ დიდი ზეიმის დღეებში იკრიბება ერთად მარიანჩენკოს მთელი ოჯახი. მაგრამ მათ ყოველ დილით ნახავთ ქარხნის კართან. ოჯახის თითქმის ყველა მოზრდილი წევრი — 38 კაცი — კიევის სახელგანთქმულ ლენინის სახელობის სამგზის ორდენოსან ქარხანა „არსენალში“ მუშაობს.

რომელსამე მათგანს რომ ჰკითხოთ, რატომ აირჩია მაინც და მაინც ეს საწარმო, გაუკვირდება. ყველა მარიანჩენკოსათვის ბავშვობიდანვე ახლობელია ქარხნის ჭირიცა და ლხინიც. რამდენიმე ათეული წელიწადი აკავშირებს მათ ქარხანასთან.

ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს — 1902 წელს მოვიდა ამ ქარხანაში სამუშაოს საშოვნელად სოფელი ბიჭი ტროფიმე მარიანჩენკო. ქარხანაში შეხვდა ერთგულ მეგობრებს, რომლებმაც მუშის პროფესია ასწავლეს. მათ ახსნილეს ჭაბუკს თვალი, თუ რით სულდგმულობდა მაშინ „არსენალი“ და რას ნიშნავდა ამაღელვებელი სიტყვა: რევოლუცია.

ორმოცდაექვს წელიწადს იმუშავა ტროფიმემ ქარხანაში. იგი ზეინკლის პროფესიის ერთგული დარჩა და მხოლოდ ერთხელ მოჰკიდა ხელი თავისივე ნებით სხვა საქმეს. ეს მაშინ იყო, როცა „არსენალი“ ევაკუაციიდან დაბრუნდა. ქარხნის დანგრეულ კორპუსებს რომ შეხედა, ტროფიმე მარიანჩენკომ განცხადება მიიტანა ქარხნის სამმართველოში. მას დაავალეს მშენებელთა ბრიგადის ხელმძღვანელობა.

ტროფიმეს ოთხმა ვაჟმა გააგრძო მამის საქმე. ერთმა მათგანმა — ივანემ სამართლიანად დაიჩირა არსენალელთა ამჟამად ცნობილი გვარის უხუცესის ადგილი. ივანე მარიანჩენკო უკვე 50 წელიწადზე მეტია „არსენალში“ მუშაობს. მას მკერდს უმშვენებს მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. გამოცდილი მჭედლის ხასიათი განმტკიცდა და გამოიწრთო ქურასთან. თუ ოჯახში ვინმე გადაკრულად იტყვის რამეს ჭაღარაზე, ასაკზე, რაც დამსახურებული დასვენების უფლებას იძლევა, ივანე უცრა იცრუებს...

არა ერთი ათეული წელიწადია არსენალელთა საამაყო სახელს ატარებენ ტროფიმეს შვილიშვილები — ალექსანდრე, ამჟამად უფროსი კონტროლიორი, და მესამე ვაჟი გრიგოლი — ნორმადარიგინერი. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ჩარხთან იდგა მეოთხე — ხარატი მიხეილ მარიანჩენკო, რომლის მარჯვე ხელს ხშირად იხსენებენ ამხანაგები.

ვერც კი ჩამოთვლი ყველა მარიანჩენკოს, რომლებიც დღეს „არსენალში“ მუშაობენ. არ არის არც ერთი საამქრო თუ უბანი, სადაც არ იყოს ამ დიდი ოჯახის წარმომადგენელი — მარტო ივანე ტროფიმეს ძემ ხომ მშობლიურ ქარხანაში ორი ვაჟი და სამი ქალიშვილი მოიყვანა.

მარიანჩენკოთა შორის არიან დიპლომიანი ინჟინრები, ტექნიკუმდამთავრებულნი, მაგრამ გვარის ნახევარმა პაპისაგან მემკვიდრეობით მიიღო ზეინკლის პროფესია ან ამ პროფესიით დაიწყო შრომითი ცხოვრება.

მეგობრები ზოგჯერ ხუმრობენ — კარგი იქნებოდა მარიანჩენკოს ოჯახს საკუთარი აღმრიცხველი ჰყავდესო. მართლაც, არც ისე ადვილია მათი ნაშრომის გამოანგარიშება. 750 წელს სჭარბობს მარიანჩენკოთა დინასტიის საერთო შრომითი სტაჟი ერთ საწარმოში. მერედა, რამდენი კარგი საქმე იმალება ამ ციფრის მიღმა? საკმარისია ითქვას, რომ თავისი წინა ხუთწლედი მარიანჩენკოთა ოჯახმა ვადაზე ერთი წლით ადრე შეასრულა. ამას უნდა დაუმატოთ გრაბარებისა და ნაუმენკოების, ხარჩენკოებისა და ოლეინიკოვების, არსენალელთა ბევრი სხვა ოჯახის წარმატება, რომლებსაც ისინი დაუნათესავდნენ.

როგორც ნაკადულები ერთვიან ერთმანეთს და ქმნიან დიდ, წყალუხვ მდინარეს, ისე ტროფიმე მარიანჩენკოს შთამომავალნი, რომლებმაც თავიანთი ბედი კოლექტივს დაუკავშირეს, „არსენალის“ სახელოვანი ისტორიის შემოქმედნი გახდნენ.

ს. გუსოვსკი,
ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხნის „არსენალის“ დირექტორი.

კრივოი როგის ბუმბერაზი

კრივოი როგში დაიწყო ზემძლავრი № 9 ბრძმედის აგება, რომლის მოცულობა 5 ათასი კუბ. მეტრი იქნება. მსგავსი მეტალურგიული კომბინატი არ არის მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში. ბრძმედი გათვალისწინებულია წელიწადში დაახლოებით ხუთი მილიონი ტონა ლითონის გამოსადნობად. ეს უფრო მეტია, ვიდრე მთელი რევოლუციამდელი რუსეთი იძლეოდა 1913 წელს.


კრივოი როგის ბუმბერაზი საერთო-სახალხო მშენებლობა გახდა. ბრძმედის პროექტი მოსკოვის „დიპრომეზის“ ინსტიტუტის სპეციალისტებმა შეიმუშავეს სხვა დაწესებულებებთან ერთად. გენერალური მოიჯარადრეა „კრივოროგმშენის“ ტრესტის კოლექტივი, სადაც დღეს მრავალი ეროვნების წარმომადგენლები მუშაობენ, ხოლო ტექნიკური მოწყობილობა მოდის ქვეყნის ყველა კუთხიდან. ასზე მეტი ქალაქის საწარმოებმა დაიწყეს მისი დამზადება.

მეცხრე ღუმელის მშენებლობისას გამოიყენებენ ბევრ პრინციპულად ახალ ტექნიკურ გადაწყვეტას. სამსხმელო ეზო, მაგალითად, წრიული ტიპისა იქნება, გათვალისწინებულია ჭურასთან შრომატევადი პროცესების სრული მექანიზაცია. ბრძმედში საჭირო არ იქნება გამოდნობათა თვლა — თუჯის გამოშვება განუწყვეტელი უნდა იყოს. ახლებურად მოეწყობა კაზმის მიწოდება. ტრადიციულ სკიპებს აქ კონვეიერის ლენტები შეცვლიან.

სრულიად იცვლის სახეს მექურეთა შრომა. მათი საიმედო თანაშემწენი იქნებიან იზოტოპური ხელსაწყოები, ულექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკა, ავტომატიკა, ტელემექანიკა. შრომის კარგი პირობები სამუალებას მისცემს მუშებსა და ინჟინრებს გაადიდონ შრომის ნაყოფიერება.

კრივოი როგი შემთხვევით როდი აირჩიეს ბუმბერაზის ბრძმედის ადგილად. აქ აღიზარდა შავი მეტალურგიის ობიექტების მშენებელთა გამოცდილი არმია, თანაც ჭალაში სრული ურთიერთმოქმედებით მუშაობს კოქს-ქიმიური და სამთამადნო წარმოების სისტემა. მეცხრე ბრძმედი მეორეს გვერდით აღიმართება და მაშინ კრივოი როგის ლენინის სახელობის ქარხანა არა მარტო უკრაინის, მთელი საბჭოთა კავშირის მეტალურგიული მრეწველობის ფლაგმანი იქნება.

ნ. პეტროსიუკი.



ხასტუმრო „სლავუტიჩი“ კიევში



ბანთიალი ქარპატებში

სიმღერავ, ჩემო სიმღერავ...

რა განსაზღვრავს მხატვრული კოლექტივის პოპულარობას? გამოსვლათა რაოდენობა? განვლილი კილომეტრები? საგაზეთო რეცენზიები? უდავოა, კონცერტების რაოდენობაც, რომელთა შემდეგ მაყურებელი დიდხანს არ უშვებს მსახიობებს სცენიდან, საგასტროლო სვლაგზებიც, რომლებმაც მთელ სიგრძე-სიგანეზე დასერა ქვეყანა, საგაზეთო სტატიებიც, რომელთა ავტორები არ იშურებდნენ ეპითეტებს. მაგრამ არის გულითადი სიყვარულის აღიარების კიდევ ერთი ნიშანი — სუვენირები, სამახსოვრო საჩუქრები.

უკრაინის გრიგოლ ვერიოვკის სახელობის დამსახურებულ აკადემიურ სახალხო გუნდს აქვს ასობით სუვენირი, რომლებიც ადასტურებენ მის განსაკუთრებულ პოპულარობას. თითოეული სუვენირი — სამახსოვრო გვახსენებს სახიხარული შეხვედრებს იმათთან, ვინც ჭალარა კიევიდან შორს ცხოვრობს, მაგრამ შეიყვარა აქაური სიმღერები, ვისაც გულში ჩასწვდა უკრაინული ხალხის მუსიკალური ხელოვნების სიტკბოება. თუ არა მსმენელთა მადლიერებით, რითი უნდა აიხსნას, რომ ულიანოვსკიდან გუნდს გამოუგზავნეს ვლადიმერ ლენინის სკულპტურული პორტრეტი, ვოლგოგრადიდან — მამაის ბორცვის ძეგლის მაკეტი, კუზბასიდან — მეშახტის სანათი, ყაზახეთიდან — დომბრები, ურალიდან — ფერადი თვლები?

ეს გუნდი მუდამ სასურველი სტუმარია საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში.


გუნდის მრავალფეროვან რეპერტუარში მკაფიო, ნათელი ფერებით შესულა საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკის მელოდიები. გულში ჩამწვდომად ასრულებს იგი რუსულ სიმღერებს — „ლუბინუშკას“, „კალინკას“, „ასწლოვან ცაცხვს“. უკრაინელთა ინტერპრეტაციით მოისმინეს ბელორუსმა მსმენელებმა სიმღერა „ოი ნემან, შობელო ნემან“, ყაზახებმა — „იაპურაი“, ქართველებმა — „მორბის არაგვი“.

დეკადები... სწორედ მათ არგუნეს წილად კიეველ მსახიობებს ყოფილიყვნენ უკრაინული სიმღერის შერცხლები ყველგან, სადაც ჩადიოდნენ. ტარას შევჩენკოს ქვეყნის მუსიკა ყოერდა ჩელიაბინსკის ქარხნების საამქროებში და დონისპირეთის კოლმეურნეთა ველ-მინდვრებში, ნოვოსიბირსკის ბასწავლო აუდიტორიებსა და ბარნაულის მშენებლობებზე. გუნდის მომღერალთა ხმები გაისმოდა მიხაილოვსკისა და იასნაია პოლიანას საზეიმო დღეებში.

თავიანთი მრავალეროვნული რეპერტუარიდან ორმოცი საუკეთესო ნაწარმოები გააერთიანეს გუნდელებმა კრებულში „სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები“.

ლ. კოროგჩაკი

რედაქციისაგან: უკრაინის მასალები წომრისათვის მოგვიმზადეს ჩვენმა კოლეგებმა — „ვისტი ზ უკრაინის“ კოლექტივმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნით, ვუსურვებთ წარმატებას, ჯანმრთელ სიცოცხლესა და მრავალ ხელხვავიან ახალ წელიწადს.



დნეპროგესის ნათურები

— შენი ნებაა.
— ფრთხილად ნახვევი არ დამისველო.
— რაო, ყმაწვილი ვარ?
ჯასამრჯელოსთვის გასახდელში არ გამოსულა. გასახდელის მსა-ური გავგზავნე. დაბრუნდა.
— არ არის, ნომერში დაუძახიათ.
თვითონ შევედი. უსაქმოდ იჯდა, ყალიონს აბრჩოლებდა, მამა-ების აბანოში მუშტარი ცოტა იყო, აბანოც არ იყო ბევრი. ხუთ-ანეთიანი გავუწოდე.
— ბევრია. — კილო კარაჩი ექვსასი ღირდა, მას კი უნდა კმამა. ითხი უკან დამიბრუნა. გამოვართვი, არ მინდოდა, მაგრამ გამოვართვი — გულით მაძლევდა, სურვილს ხელი არ ვუკარ. დედისა-გან გამომყვა — მიჭირს სხვისი გულის ტკენა, უმალ ჩემსას ვიმე-ტებ, — ორდენები ბევრი გაქვს, ყოჩაღ შვილო!
— თვალი მაქვს ჭრთი.
— ხამაგიეროდ თავი გადარჩა. დედაშენის დასაბანი გაქვს, ზოგი ჭირიც სასარგებლოა.
ყველა ხანში შესული ადამიანი ერთნაირად სჯის.
მომშივდა. სახლამდე ორი ნაბიჯი იყო. მაინც არ მინდოდა. სურ-ვილს არ დავემორჩილე, წავედი... „ნაცნობი არავინ შემხვდა, სად არიან, ჩვენი გოგოები მაინც, მეზობლები...“ ის იყო გავიფიქრე, მეეზოეი ალის ცოლი სონია კი არ მომესალმა, ღამის მეცა, მომე-სვლა დამიწყო.
— სენ გენაცვალე, სენა, დაბრუნდი, სვიღო, სენ გენაცვალე, სენა! — წინათ კოცნა კი არა, ცოცხით დამდევდა, „მამაზაგლოს“ მეძახდა ანცობისათვის. — როგორ გაიხარებს დედასენი, როგორა!
კარი დედამ გააღო, ან სხვას ვის უნდა გაეღო, „დაბერებულა“— გამეელვა. ჩამეკონა, ზურგჩანთიანად მიმიკრა გულზე, ხელების გაშლა ძლივს მოვახერხე, ჩავეკონე. მიკოცნიდა ლოყებს, შუბლს, ყურებს, თვალს, ბინტს ფრთხილად უვლიდა გარშემო. მერე სული მოითქვა, მოდუნდა, კვლავ იძახა, ჩანთა ჩამომხსნა და უცებ... გაგარდა სამ-ზარეულოსაკენ, სადაც ბედნიერ დღეებში ყველა ჩვენგანი შინ ფეხის შედგმისთანავე შედიოდა ხოლმე, იქ, სადაც დედა ქვეყნად ყველაზე გემრიელი სასმელ-საჭმელით გვაპურებდა... იქიდან დღე-საც საამო სუნი გამოდიოდა. დედამ ნაჩქარევად გამოიხურა სამზა-რეულოს კარი და კვლავ მე მომიბრუნდა.
— საღამოთი გელოდი... — თქვა როგორღაც დაბნეულმა. — ოთახში შედი... მე ახლავე...
და უცებ უჩვეულო ფაცი-ფუცი აუტყდა — ჯერ ჩემს ზურგჩანთას ეცა, მერე ოთახის კარი გამოაღო და ღამის ხელჩაკიდებული მიპი-რებდა შიგ შეყვანას.
— ხელებს მერე დაიბან, მერე, ეხლა ოთახში შედი...
სამზარეულოში ვიღაცამ ჩაახველა. ანგარიშმიუცემლად ვეცი სამ-ზარეულოს კარს და ისე სწრაფად გამოვაღე, რომ დედამ ხელის შეშლა ვეღარც მოასწრო...
ღამის მუხლი მომეკვეთა, თვალს არ დავუჯერე, მოვიწმინდე... მაგიდას ეჯდა გაჩხიკული, გაყვათლებული, ქერათმიანი ჭაბუკი, რო-მელსაც გერმანული არმიის პაგონებაყრილი ფორმა ეცვა. იჯდა მაგიდასთან და წინ კედა ერთი მთლიანი წვნიანი. როგორც კი თვალი მომკრა, მყის გაჭიმა...
— შობელძაღლო! — თვალის ბუდე ამეწვა, კანკალმა ამიტანა.
— მშობელს ნუ უგინებ, შვილო, იმას ბრალი არ უდევს, — და-იწყო დედამ მისთვის უჩვეულო სიჩქარით. — აგერ ის სკამი მოი-ტანა. ნება აქვთ დართული, ნარჩენებისაგან აკეთებენ, თავისუფალ დროს. საჭმელი ყველგან ჭირს, ეს კი, მგონია ჭლექით უნდა იყოს ავად. ამასაც ჭყლეს დედა, თვრამეტი წლისაა, შვილო. — მის თვა-ლებში პირველად შევნიშნე ცრემლი, არასოდეს რომ არ დაუნახვე-ბია ჩვენთვის. — ვინ იცის, იქნება შენს ძმასაც აჭმევს რომე-ლიმე გერმანელი დედა, ნუ ჯავრობ. ჩვენში უმეტესობა სოფელთან ვართ დაკავშირებული, სოფელი კი ღონიერია, ყოველთვის გვიხს-ნიდა ხოლმე გასაჭირში. ნუ ჯავრობ, გემუდარები! ხალხის ბრალი არ არის!
— ხალხის მხარდაჭერა რომ არა, ჰიტლერი ვერაფერს გააწყობ-და. ყველა ბორონტებაც ამათი ხელებით არის გაკეთებული. ეს თვა-ლიც მაგისთანების, მაგისი გამოთხრილია!
— შენი თვალი ჩემივ თვალია და ჩემთავად მე შემიწირავს სამ-შობლოსათვის. უმსხვერპლოდ, ეტყობა, მშვიდობაც არ მოდის. ეს-ენი კი ჰიტლერს ვერ გაუმკლავდებოდნენ, შვილო. ამას რომ ჰკითხო, ნამდვილად არ ისურვებდა შენს... შენს... თვალთახედვის დაკლე-ბას...
ონკანთან მივედი. ხელის დაბანას მოვყევი, აბანო დამავიწყდა.
გერმანელს წასვლის წრიალი აუტყდა, მათლაფა თითქმის ხელ-უხლები იყო. დედამ თვალები მოიწმინდა... ბიჭმა მათლაფას თვა-ლი მოარიდა, თავი დახარა, ფეხი წაინაცვლა.
— რას წამოდექი, ჭამე ბარემ, — ჯუთხარი ხმადაბლა სასჯოლო გერმანულით.
— გმადლობთ, — მომიგო ზურგში ნასწავლი რუსულით.
— მადლობა მერე, ეხლა ჭამე! დაუსხი რამე.
— არა სვამს... მესამედ არის ჩემთან. ბევრნი ეხმარებიან ჩვენებს ამათთვის ლუკმის წაშველებით. დედები აჭმევენ კაცებისაგან ფა-რულად. ხალხი დამნაშავე არ არის, შვილო, ესენი კი ხალხის ნა-წილია, დედა კი ყოველთვის იყო, არის და დარჩება დედად. ამის დედას რომ ვინმე შეკითხებოდა, ომი საერთოდ არ იქნებოდა ქვეყნად. ხალხებს არასოდეს არ უნდათ ომი. ესია. და ისიც გახსოვდეს შვილო, არ დაივიწყო არასოდეს: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“...
მას შემდეგ ის დედაჩემთან დადიოდა... ხახლში რომ არ ვიყავი ხოლმე. ჯამოთხოვებისას, სამშობლოში მისი დაბრუნების წინ, უკვე ომის შემდეგ, ერთად დაელიეთ კიდეც მშვიდობისა, დედებისა, შინ-მოუსვლელთა...

* * *

— სად ხარ, პაულ, იქნებ ხმა მომაწვდინო? ძმა აღარ დამბრუ-ნებია შინ. იქნებ შენც მიიმო, რომ ჩვენს შვილებსა და შვილიშვი-ლებს ერთად გადავცეთ ჩვენი დედების კვნესა და დარდი, მტრობა აღვკვეთოთ სამარადჟამოდ და სიყვარული შთავუნერგოთ საშვილი-შვილოდ! პაულ! დედაჩემი გაიხარებდა, თბილი სიტყვა რომ შე-გეწერა. ერთად დაფიცოთ მის საფლავთან, რომ არასდეს, არასდეს აღარ იქნება ჩვენს ხალხებს შორის შუღლი და მტრობა, რომ არც ერთი გერმანელი საბჭოეთს ავი თვალით არ გამოხედავს, რამე თუ ავი და შავი ყველა დედას ერთად გვიტირებს, შვილთ დაგვი-ოლებს და წუთისოფელს გაგვიმწარებს. რომ მეგობრობა ჩვენი ძმობაში გადაიზარდოს, რადგან ძმური სიყვარული ბედნიერების სათავეა, მტრობა, ძალადობა და ამბიცია უპირველესად თვით ავ კაცსვე ვნებს და სხვაც სიხარულს არ ანიჭებს. და თუ შორსა ხარ, ხმას ვერ შომაწვდენ, საახალწლო მოლოცვასავით ის მაინც გახსოვ-დეს, არ დავიწყო და შვილებსაც უთხარ როგორ შეარიგა ორი მო-სისხლე ჭართველმა დედამ ხალხური სიბრძნით: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. მრავალ ახალ, ბედნიერ წელი-წადს გისურვებ შენ, შენს მონაგარს, შენს საყვარელ ხალხს, ჩვენ-ავით ძვირად რომ დაუჯდა ავკაცთაგან დათესილი მტრობა და შუღლი. აღარც ერთ ახალ წელიწადს აღარ ეტიროს აღარც ერთ დედას, მხოლოდ ელხინოს, ბედნიერის, ტკბილად დაბერებული-ყოს შვილებისა და შვილიშვილთა საამოდ და გასახარად!

გივი კარგელაშვილი

დრეზდენი-ბერლინი
1972

მრავალს დაესწარით!

ლევან!
ახალი წელიწადი სადაც არის შე-მოგიჯვებს.
მე თქვენზე უნდა დაგწერო, შენი და ნანას ერთად ყოფნის პირველ ახალ წელიწადზე. გუშინ სახლში არ დამ-ხვდით — მითხრეს, ჯერ არ ჩამოსუ-ლანო. თქვენი ნახვა მინდოდა, თორემ ისედაც კარგად ვიცნობთ ერთმანეთს.
მაშინ მოლეწილი, ცისფერთვალება ბიჭი იყავი, მაგრამ მკვირცხლი, ხელ-ოსნიერი. საგარეჯოში ყველა ჭიდაობ-და და შენც ფალავნობაზე დებდი თავს. კარგადაც გამოგდიოდა, ჭომაგიც ბევრი გყავდა. იზრდებოდი. ჭიდაობას სრულყოფდი. ასპარეზობის მასშტაბე-ბიც გეზრდებოდა... შარშანწინ საბ-ჭოთა კავშირის ჩემპიონად დაგვიბრუნ-დი.
მანამდე კი...
— „შახისა“ ხომ არ გეშინია, ლე-ვან? მართლა ვგრე ძლიერია? აბა, უიღბლო ყოფილხარ, ძმაო!
ამბობდი: იური შახმურადოვი პლა-ნეტაზე უძლიერესი მოჭიდავეაო თავის წონაში, მაგრამ არ მეშინიაო. პირიქით: იღბლიანი ვარო, შახმურადოვის მძლე-ველი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდე-ბაო.
იმედი გქონდა სხვათა ძლევისა, იმედს გარჯასაც აშვილებდი. სხვებმა იქნებ არც იცოდეს, მე კი ვიცი, როგორც ვარჯიშობდი.
რამდენჯერ დამინახიხარ ზამთრის სისხამზე, როცა ყინვა ხესა და ჭვას ხეთქავდა, ვიებერთელა გოდრით გა-რბოდი სათადისაკენ, გარბოდი და რი-ყეზე თოვლის კორიანტელს აყენებდი. ზურგზე იმოდენა გოდორს წამოიკიდე-ბდი ხოლმე, აღარ ჩანდი. მერე იმ გო-დორს ხმელი შეშით ავსებდი და დინ-ჯად მოაბიჯებდი შინისკენ.
თბილისში ხუთი-ექვსი საათი ლეიბ-ზე ღრმიდი ოფლს. შენთან ერთად იწურებოდა ვახტანგ ბალავაძეც, გუში-ნდელი ცნობილი ფალავანი. ჭიდაო-ბის პროფესორად წოდებული, რომე-ლიც შენ გადმოგცემდა თავის ცოდნა-სა და გამოცდილებას. გულში დიდ იმედებს გისახავდა და თვითონაც ია-მედებდი როგორც ღირსეული მემ-კვიდრე.
საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის და-კარგვამ შახმურადოვი ვერ შეაშინა. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპა-რტაკიადაზე შეეჯახეთ ერთმანეთს, მსაჯმა ქვლავ შენი მარჯვენა ასწია.
მსოფლიო პირველობაზე ოთხი ფა-ლავანი წამებში მიალაგ-მოალაგე. და-ნარჩენებსაც ადვილად გაუსწორდი და... საქართველოს ახალი მსოფლიოს ჩე-მპიონი შეიმატა.
შახმურადოვთან დავა კი ვერ გადა-წყდა.
საბჭოთა კავშირის წლევანდელ ჩე-მპიონატზე საქართველოს ნაკრებს ქვემძიმე წონის მოჭიდავე სჭირდებო-და. წონაში მოიმატე, მაგრამ გუნდის ინტერესებისათვის სამიოდე დღეში თი-თქმის ათი კილოგრამის დაკლება დაგ-ჭირდა. ქვლავ შენს წონაში გამოდიო-დი, მაგრამ სისუსტეს გრძნობდი და ამან დაგაფიქრა.
— ბარდანასავით დაგახეხებენ, — ჯავრობდა მამაშენი.
— როგორ დაგასუსტეს, სულ ნუ იჭიდავებ! — დარდობდა დედაშენი.
ბარდანასავით როგორ დაგახეხებ-დნენ, მაგრამ შახმურადოვმა გძლია. კარგახანს აღარ ჩამოდიოდი საქართ-ველოში.
ვწუხდით. პირველი ფალავანი რომ იყავი, გვჯეროდა, მაგრამ მიუხვნის ოლიმპიური ასპარეზობაზე შახმურადო-ვი მიდიოდა. შენ კი ოცნებობდი...
მერე ჩამოხვედი. — როგორა ხარ? — გკითხე და იცოდი, რასაც გეკითხებოდი. მიუხვნში მივდივარო, მიპასუხე.
— როცა შახმურადოვთან წავაგე, ვიფიქრე, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი, — გააგრძელე ცოტა ხნის შემდეგ. — ვახტანგ ბალავაძემ მანუგეშა. ისევ ის ლევანი ხარო, მითხრა, მჯერწმუნე, ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულაო. ცოტა გული მომიბრუნდა და ვარჯიში დავიწყე. ძველი ფორმა აღვიდგინე და მით უფრო გულდა-საწყვეტი იყო, რომ მიუხვნში ვერ მი-ვედიოდი. არადა, უჩვეულო ძალას ვგრძნობდი. ათჯერ შევხვდები შახმუ-რადოვს, ერთხელაც რომ მომიგოს, და, ის წავიდეს ოლიმპიურ ასპარე-ზობაზე-მეთქი, წამომცდა დაჯავრიანე-ბულს.
ჩემმა სიტყვებმა იარა, იარა და მწვრთნელებმა ისევ დამაყენეს შახმუ-რადოვის პირისპირ. არ ვიცი, იცოდა თუ არა იურომ ჩემი ნათქვამი, მაგრამ, ხომ გკერა, უამისოდაც ვეფხვივით იჭიდავებდა.
მართლა ათჯერ შეგახვედრეს მე-ტოქეს. შენ გაიმარჯვე ერთხელ, ორ-ჯერ, სამჯერ.. გაიმარჯვე მეცხრედ და მეათედაც. შენი სიტყვა გაჟღერებულად შეასრულე და ჟველაფერი დღესავით ნათელი გახდა.
იური შახმურადოვმა კი სამუდამოდ დაკარგა ფარ-ხმალი და ჭიდაობას გა-მოეთხოვა — საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს ქარგისა მამაცისგანაო...



სურათებზე: (ზემოთ) შაჰის ნაჩუქარი ბეჭედი მი-ართვა ლევანმა ნანას; (ქვე-მოთ) ქართულად იქორწი-ნეს.


გივი კიკვაძის ფოტოები



ოლიმპიური ჩემპიონიც გახდი.
ხედავ? სამი სიტყვა ძლივს გამო-გიმეტე შენთვის იმ მიტად მნიშვნე-ლოვან გამარჯვებაზე. იქნებ იმიტო-მაც, რომ ერთი შენეული გამარჯვება მომწონს ყველაზე მეტად.
...ირანი დიდი სპორტული ზეიმისათ-ვის ემზადებოდა. იქ სპორტის თავი და თავი ჭიდაობაა.
ირანის შაჰის პრიზის გათამაშების ტრადიციულ ტურნირზე მსოფლიოს უძლიერესმა მოჭიდავეებმა მოიყარეთ თავი.
პრიზის გათამაშება ვეებერთელა სტადიონზე, ღია ცის ქვეშ გაიმართა. მოედანზე ნემსი არსად ჩაიტეოდა. შა-ჰიც, რა თქმა უნდა, მეუღლით მობ-რძანდა, ასპარეზობის მონაწილეებს ღიმილით მიესალმა. იქვე, ახლოს იჯ-და შაჰის საყვარელი ფალავანი, ბედმა სწორედ მასთან შეგახვედრა.
სტადიონი გათანგულიყო. ვინ იცის, რა დღეში იყავი...
შეტოქეც ღირსეული შეგხვდა, ვე-რაფერს დაუწუნებდი... მაინც დაჯაბ-ნე. გეგონა, წმინდად მოიგე, მაგრამ მსაჯმა ისევ საჭიდაოდ მოგიხმო.
ირანელთა კერპს თვალებში რომ შეხედე, შიშის ნატამალიც ვერ ამოიკი-თხე, რადგან, მისთვის სიკვდილის ფა-ხად ჩანდა დამარცხება.
მაგრამ შენც ძალზე გწყუროდა გა-მარჯვება... ირანის შაჰის ფერხთით მი-სი საყვარელი ფალავანი ბეჭებზე იგ-დო.. გულშემატკივრები ქვლავაც ფე-ხზე იდგნენ, ხმას არ იღებდნენ. მაშინ თურმე შაჰმა მიგიხმო და ძვირფასი ბეჭედი გაჩუქა.
ჯილდომ გაგახარა — ბეჭედი მოგე-წონა და ჩაუთქვი — ნანას მივართმე-ვო.
ის ბეჭედი ეხლა ნანას უკეთია მარჯ-ვენა ხელზე.
თქვენი ქორწილი სულ ეხლახან იყო. ძველებური, ჭართული ქორწილი. მაყ-რად ცნობილი ჭართველი ფალავნე-ბიც მოგყვნენ. საბჭოთა კავშირის, მსოფლიოს, ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები და პრიზიორები.
ნანა მშვიდლიშვილი შენს ოჯახში შემოვიდა და ესეც ქარგი გამარჯვებაა, ჩემო ლევან!
თქვენი ბედნიერების ხანა დაიწყო. წინ დიდი საქმეები გელით. შენ, რო-გორც სახელმოხვეჭილ ფალავანსა და მომავალ იურისტს, ნანას, როგორც მომავალ ექიმს.
— 1972 წელი თქვენი გაბედნიერე-ბის წელიწადი იყო, ქარზე მომდგარი 1973—თქვენი ერთად ყოფნის პირველი ბედნიერი ახალი წელიწადი იქნება.
მრავალს დაესწარით, ლევან და ნანა!

არა მგონია, მკითხველმა იკითხოს რომელ ლევანზეა აქ ლაპარაკიო, ვანა შახმურადოვი თქმიაშვილის გარ-და სხვას დაუმარცხებია ვინმეს?

ლაშა გარეჯელი



გზა კაცისა

ელმავალი აზერბაიჯანის ტრამალებზე მიქროდა. მიქროდა და თან მიჰყავდა ვეებერთელა ცისტერნების უზარმაზარი შემადგენლობა. მემანქანის კაბინაში ორნი იყვნენ — უფროსი მემანქანე და თანაშემწე. უფროსიო, ვამბობთ, თორემ ამ დიდი შემადგენლობის წინამძღოლი მხოლოდ ოცდაშვიდი წლისა იყო. მოდიოდნენ ბათუმიდან, სადაც გუშინწინ ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში აზერბაიჯანიდან წამოღებული ნავთობი ჩაიტანეს და კვლავ ბაქოში ბრუნდებოდნენ ძვირფასი ტვირთის წამოსაღებად.

მიქროდა ელმავალი აზერბაიჯანის ტრამალებზე. მემანქანე წინ გატყორცნილ ლიანდაგს უყურებდა და ელმავლის თვლებივით უტრიალებდა ფიქრები...

...სადღაც გახურებული ომია. ადამიანებს იარაღი აუსხამთ და იბრძვიან. მამამისიც ფრონტზეა. შინ დედასთან და უმცროს ძმასთან ცხოვრობს. უჭირს ოჯახს. ქვეყანასაც უჭირს. სკოლაში დადის, სწავლა უნდა და რა ქნას? მაგრამ სკოლაში სიარული ძნელია. უკვე წამოიზარდა და სკვნენია კიდეც დედის შემყურე როდემდის უნდა ვყოო. მამისეული შარვალი გადაუკეთეს, მამისეული ხალათი კი თითქმის კარგად მოერგო. სხვის ვეებერთელა ფეხსაცმელს მოიფლატუნებს და უკან რჩება მშობლიური სიმყუდეთი. მატარებელმა ბაქო დეპოდაჭალაში ჩამოიყვანა. სარკინიგზო სასწავლებელში შევიდა. ორ წელიწადს მემანქანეობას სწავლობდა, შერე ბეინჯლად დაიწყო მუშაობა. პირველი ხელფასიც აიღო. ძალიან უხაროდა დედისთვის გაეგზავნა ნაწილი, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან ომი იყო და ადამიანის მარჩენალ მჭადს სისხლის ფასი ედო.

ბიჭს მემანქანეობა უწადოდა. ოცი წლისა გახდა. გულისსწორი აირჩია, არც დროს შეუშინდა და არც უსახსრობას, ცოლის მოყვანას მემანქანედ კურთხევაც დაიმთხვა.

ქვეყანა მშვიდდებოდა, მაგრამ ამ სიმშვიდეს მამამისი შეეწირა და ნაღველი ტალღებად შემოაწვებოდა ხოლმე ნაადრევად დავაქცეებულს.

...ელმავალი სადგურს გასცდა. მემანქანემ თანდათან უმატა სიჩქარეს. რკინიგზის პირას აზერბაიჯანელთა სახლები ჩამორიგებულა. აქა-იქ მოფუსფუსე ადამიანები მოჩანან. ხუთიოდე წლის ბიჭი ასკინკილით მოხტის. თამაშობს, ჯერ ხუთიოდე წლისა თუ აქნება, და მისთვის ეს ცხოვრება მხოლოდ თამაშია. პატარა აზერბაიჯანელისათვის მატარებლისაკენ ლტოლვა სახიფათოა... შენიშნა მემანქანემ. ამუხრუჭებს, მაგრამ ამოდენა შემადგენლობა მხოლოდ ათას ხუთასი მეტრის შემდეგ ჩერდება, ბავშვამდე კი თითქმის კარგად მოერგო. სხვის ვეებერთელა ფეხსაცმელს მოიფლატუნებს და უკან რჩება მშობლიური სიმყუდეთი. მატარებელმა ბიჭი დეპოდაჭალაში ჩამოიყვანა. სარკინიგზო სასწავლებელში შევიდა. ორ წელიწადს მემანქანეობას სწავლობდა, შერე ბეინჯლად დაიწყო მუშაობა. პირველი ხელფასიც აიღო. ძალიან უხაროდა დედისთვის გაეგზავნა ნაწილი, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან ომი იყო და ადამიანის მარჩენალ მჭადს სისხლის ფასი ედო.

ბიჭს მემანქანეობა უწადოდა. ოცი წლისა გახდა. გულისსწორი აირჩია, არც დროს შეუშინდა და არც უსახსრობას, ცოლის მოყვანას მემანქანედ კურთხევაც დაიმთხვა.

ქვეყანა მშვიდდებოდა, მაგრამ ამ სიმშვიდეს მამამისი შეეწირა და ნაღველი ტალღებად შემოაწვებოდა ხოლმე ნაადრევად დავაქცეებულს.

ბავშვი, მაგრამ ბიჭუნა უვნებელი იდგა და ვერაფერში გარკვეულიყო, ისევ თამაში უნდოდა...ბიჭისათვის ცხოვრება მხოლოდ თამაში იყო...

ქართველ ჭაბუკს გრიგოლ ბოგვერაძეს მადლიერი აზერბაიჯანელები ეხვეოდნენ, კეთილ გზას უსურვებდნენ კაცს, დღედაღამ ფოლადის გზებზე რომ დადიოდა.

ამ ათიოდე წლის წინათ ვიღაც სტატისტიკოსმა გამოიანგარიშა, გრიგოლ ბოგვერაძემ უკვე ექვსჯერ შემოუარა დედამიწასო. გრიგოლ ბოგვერაძე კი მას შემდეგაც დადიოდა, დაჰყავდა ხალხი, გადაჰქონდა ძვირფასი ტვირთი... და არ შეცდებით თუ ვიტყვით, რომ მისი განვლილი გზა თორმეტჯერ შემოსწვდებოდა ამ ჩვენს უსაზღვრო დედამიწას.

...გრიგოლ ბოგვერაძე თავის სამუშაო კაბინეტში და რკინიგზელებს ელოდება. ფიქრობს... ერთი თვეა, რაც აქ დაჯდა. ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს პირდაპირ ელმავლიდან მოეყვანოთ. არა, თითქოს ისევ მემანქანე იყოს და ფოლადის გზებს მიჰყვებოდეს...

სწავლის ბავშვობისდროინდელი სურვილი ვაჟკაცობამდე მოჰყვა. 1959 წელს მუშა-ახალგაზრდობის სკოლა დაამთავრა, 1960 წელს რკინიგზის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი გახდა. შვილებთან ერთად სწავლობდა ორი ქალიშვილისა და ერთი ვაჟის მამა. ვაჟკაცური ნებისყოფა ჰქონდა, უველაფერს ასწრებდა, ისე, რომ ღირსეულთა შორის ღირსეულის სახელს ატარებდა.

ცნობილია ამბავი: ელმავლებს ყოველი ორას ორმოცდათი ათასი კილომეტრის გარბენის შემდეგ კაპიტალურად შეაკეთებენ. გრიგოლ ბოგვერაძის ბრიგადამ გადაწყვიტა შეუკეთებლად ხუთასი ათასი კილომეტრი გაერბინა, დადგენილ წორმაზე ორჯერ მეტი. თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ელმავალს, უველიდნენ ვეებერთელა მექანიზმებს თუ სულ პატარა ჭანჭიკებს, უველაფერს თავისი ხელით აკეთებდნენ, არასოდეს შეფერხებულან გრიგოლ ბოგვერაძის ბიჭები, ხუთას ხუთმეტი ათასი კილომეტრი ისე გაიარეს, ელმავალი არ შეუჩერებიათ. ამ საქმის მოთაჩეს, რომელსაც მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა, სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიანიჭეს.

სიმონეთიდან წამოსულ პატარა ბიჭს, დავაჟკაცებულსა და დაბრძენებულს, ჰკუას ეკითხებოდნენ უველა. მრავალჯერ იყო საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის ყრილობების მონაწილე, ექვს წელიწადს — საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წევრი. ხალხმა დეპუტატად აირჩია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამოსელი მოსინჯა, ბოლო ოთხი წელიწადი რკინიგზის 31-ე პროფტექნიკურ სასწავლებელს ედგა სათავეში. ეს ის სასწავლებელი იყო, რომელმაც ოდესღაც სიმონეთელა ბიჭი დაავაჟკაცა და სადაც ეხლა მისი შეყვარებით ვაჟკაცობდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდები. აქ სწავლობდნენ შემანქანეობასა და ხეინჯლობას, სადგურის მორიგეობასა და ვაგონების გამსინჯველობას, ჭის ოსტატობასა და ვაგონების გამცილებლობას.


ამ ერთი თვის წინათ კი გრიგოლ ბოგვერაძე ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ალმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს. ლენინის რაიონი მუშათა რაიონია და ადამიანებმა კარგად იცოდნენ, ვისაც ირჩევდნენ.


გრიგოლ ბოგვერაძის კაბინეტში რკინიგზელები შემოვიდნენ... ძველი მეგობრები. მშრომელი ადამიანები, რომლებიც ახალი წლის წინადღეებში საჭმეზე მოვიდნენ თავის რჩეულთან. ეს ადამიანები ლენინის რაიონში ცხოვრობენ, ნაძალადევს რომ უწოდებდნენ წინათ, და იმათი პირდაპირი შთამომავლები არიან, რომლებმაც ნაძალადევად მონათლეს ეს ადგილი.

ჭართველმა რევოლუციონერებმა აქედან აიყოლეს მუშათა კლასი, მათ შექმნეს ეს ქვეყანა და გრიგოლ ბოგვერაძეც, როგორც მათი ღირსეული შთამომავალი, მოწოდებულია ღღეგრძელობისათვის იზრუნოს.

რაიალმასკომის თავმჯდომარისათვის მოძმეთა ოჯახებზე ზრუნვით შემოდის ახალი, 1973 წელი. ბედნიერებას, მრავალ ახალ წელიწადს გუსურვებთ ბოგვერაძეს და ყველა მუშას, შრომითი შემართების მოთავეს.

ჯემალ ქურხული





პარიზსა და ბუქარესტში

პარიზში, „გრან პალეში“ გაიმართა არქიტექტორ ქალთა ნამუშევრების საერთაშორისო გამოფენა, სადაც წარმოადგინეს მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნის არქიტექტორ ქალთა შემოქმედება. ესოდენ დიდ დათვალიერებაში საბჭოთა კავშირი პირველად მონაწილეობდა. ჩვენი ქვეყნიდან სენის სანაპიროზე გაიგზავნა მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, ბაქოსა და სხვა ქალაქების არქიტექტორთა ნამუშევრები. მათ შორის იყო ორი ქართველი ქალის — თინათინ შანიაშვილისა და ლამარა ჭამიმრაშვილის პროექტებიც. თინათინმა გამოფენაზე წარმოადგინა ტურისტული კომპლექსის, ხოლო ლამარამ სასტუმროს, კულტურის სახლისა და ტურისტული ბაზის პროექტები. ქართველ არქიტექტორთა ნამუშევრებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ისინი ავტორიტეტულმა ჟიურიმ საუკეთესოთა შორის დაასახელა.

პარიზის შემდეგ თინათინ ფანიაშვილისა და ლამარა ჭამიერაშვილის შემოქმედება გააცნეს არქიტექტორ ქალთა საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში.

თბილისის სტუმრებისათვის

„გამარჯვების“ (ვაკის) პარკს თბილისელები „მწვანე კუნძულს“ ეძახიან. აქ ატარებენ თავისუფალ საათებს მშრომელები. ახლო მომავალში საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებთა ამ საყვარელ ადგილზე აიგება ლამაზი ახალი შენობა — დამსახურებული არქიტექტორის თინათინ ფანიაშვილის პროექტით. აშენდება 600-ადგილიანი დიდი ტურისტული კომპლექსი, რომელიც მოემსახურება საბჭოთა და უცხოელ ტურისტებს.

რომ არ დაირღვეს პარკის მწვანე სამკაულის ჰარმონია, სასტუმროს კომპლექსი ხევის ორსავე მხარეზე აიგება ერთ წენობად. ტურისტული ქალაქის კომპოზიციური ცენტრი იქნება მთავარი კორპუსის შვიდსართულიანი ნაგებობა. შიგ მოთავსდება საცხოვრებელი და ადმინისტრაციული ოთახები, ტექნიკური სათავსები, 300-ადგილიანი კინოდარბაზი, რესტორანი, ჰოლები, სასტუმროს სახურავზე გათვალისწინებულია აერარიუმისა და სოლარიუმის მოწყობა.

პროექტში გათვალისწინებულია აგრეთვე ერთ და ორსართულიანი სახლების მშენებლობა იმ პირთათვის, რომლებიც ოჯახთან ერთად მოგზაურობენ. აიგება აგრეთვე სპორტული კომპლექსიც.

კულტურის სახლი ბაკურიანში

კულტურის სახლის მაკეტი ბაკურიანში განხორციელდება. შენობა ორსართულიანია. პირველ სართულზე იქნება ვესტიბიული, ფოიე ბუფეტით, სპორტული დარბაზი. მეორე სართულზე კი ბიბლიოთეკა, დასასვენებელი ოთახები, მცირე საქმო და სარეპეტიციო ოთახები მსახიობებისათვის. ორიგინალურად არის გადაწყვეტილი სცენა და მაყურებელთა დარბაზი, რომელიც 700 კაცს დაიტევს. პროექტის ავტორმა — ლამარა ჭამიერაშვილმა შეძლო ეს არქიტექტურული ანსამბლი ორგანულად შეერწყო კურორტ ბაკურიანის საერთო ხედისათვის. კულტურის სახლი ბაკურიანის ცენტრში აიგება.

ზალვა სვანი

სურათებზე: ლამარა ჭამიერაშვილის ტიპიური ტურბაზის პროექტი (ზემოთ); არქიტექტორ თინათინ ფანიაშვილის — სასტუმრო ტურისტებისათვის.

დავით ლუკაშვილის გაზეთები

ქართველ რევოლუციონერთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის საჩინო ადგილი უჭირავს დავით ლუკაშვილს. იგი დაიბადა 1882 წელს გორის მაზრაში, სოფელ ატენში.

დავითი ჯერ გორის სასულიერო სემინარიაში შევიდა, შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო და რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდებს შორის მოხვედრამ იმთავითვე განსაზღვრა მისი პიროვნების ჩამოყალიბება. როგორც ცნობილია, ამ სასწავლებელში სწავლობდნენ მომავალში პროფესიონალი რევოლუციონერები და საზოგადო მოღვაწეები.

საინტერესოა დავით ლუკაშვილის ლიტერატურული საქმიანობა. იგი პირადად იცნობდა გამოჩენილ პროლეტარულ მწერალს მაქსიმ გორკისა და თავისი სამწერლო მოღვაწეობით პირდაპირ ეხმიანებოდა მის სამწერლო ხმას. მის მიერ შექმნილი მხატვრული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „მაისობა“, „დღეობაში“, „შავლეგა“ და სხვა.

დავით ლუკაშვილს გვკუთვნის მრავალი საინტერესო წერილი და მოგონება გამოჩენილ რევოლუციონერებსა და საზოგადო მოღვაწეებზე — იოსებ სტალინზე, მაქსიმ გორკიზე, ჯამოზე...

დავით ლუკაშვილი გარდაიცვალა 1956 წელს. 16 დეკემბერს გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა პროფესორმა სერგი ჭილაიამ. მის დამსახურებასა და ღვაწლზე ილაპარაკეს სტალინის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა თამილა გოგოლაძემ, ხიდისთავის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ შოთა რამაზაშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვასო კახნიაშვილმა, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორმა ოთარ ეგაძემ. საინტერესო მოგონებებით გამოვიდა გორელი ექიმი არჩილ თოხაძე.

სალამოს დასასრულს ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის დასმა წარმოადგინა ახალი სპექტაკლი — დავით ლუკაშვილის „პირველი ნაბიჯები“, რომელიც დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი აბრამიშვილმა. მხატვრულად გააფორმა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა შოთა ხუციშვილმა.

დავით ლუკაშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სალამოს დაესწრნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორია სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ლულაშვილი, გორის საზოგადოება, ჩამოსული სტუმრები და ახლობლები.

ალექსანდრე ტაბატაძე

სპორტი

ბრწყინვალე გამარჯვება

ჭეშმარიტად საოცარი მოჭიდრაკეა **ნონა გაშრინდაშვილი**. მისი ყველა სატურნირო თუ ხანგრძლივ გამოსვლა გამარჯვებით თავდება და ეს იშვიათი ხერხია უკვე თხუთმეტ წელიწადს გრძელდება!

თქმა არ უნდა, ჩემპიონთა თასის გათამაშება (ევროპის პრაიორიტეტული პირველობა), უმნიშვნელოვანეს საჭიდაკო შეჯიბრებათა რიცხვს მიეკუთვნება, მით უმეტეს, რომ იუგოსლავიის ავგარაკ ვრნიაჩკა-ბანიაში ჩავიდნენ შესანიშნავი ოსტატები, რომელთაც გაისად მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირებში უნდა ებრძოლონ. და აი უძლიერესთა შორის უძლიერესებთან ჭიდილში ნონამ 11 შესაძლებლობიდან 9 ქულა მოაგროვა.

ამ მიღწევამ არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ნონაბათვის ვრნიაჩკა-ბანიაში თამაში იოლი იყო. რად ღირს მარტო იმის გახსენება, რომ შეათე ტურის წინ მხოლოდ ჩემპიონი 7,5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფდა უნგრელ ვერეციასთან. ყველაფერი შეათე ტურის ბარტიას უნდა გადაეწყვიტა, რომელშიც ვერეცი და გაფრინდაშვილი ხვდებოდნენ ერთმანეთს. ვერეცი თეთრებით თამაშობდა. ესეთ დროს, საჭიროა სავანგებოდ მობილიზება, წინასწარფიქრით დაბადა და რაოდენ სასიხარულოა, რომ ნონა გაფრინდაშვილი პრინციპულ ბარტიებს ყოველთვის იგებს. დიახ, ვერეცის ვერ გაუძლო შავების შეტევას და პირველ ადგილზე ოცნებასაც გამოეთხოვა. გაიმარჯვა ჭეშმარიტად უძლიერესმა.

ქების ღირსია **ნანა ალექსანდრია**. მას ერთი წლის მანძილზე არსად უთამაშია. სავიზიტოდ საჭირო იყო პატარა გიორგის ნებართვა, რომელიც დღეს 8 თვისაა და აი ნანამ სეკტემბრიდან განაახლა მზადება, დეკემბერში კი ჩინებულ წარმატებას მიაღწია. — მას დამარცხება არ უგემია, 5 მოგება, 8 ყაიმი და სამოლოდ შე-2-ს ადგილის გაყოფა — უდავოდ შესანიშნავი შედეგია.

ჩემპიონთა თასის დასვენების დღეს მოეწყო დიდი ელვისებური ტურნირი 10 ქალისა და 8 ვაჟის მონაწილეობით. დებუტანტების თანახმად, თითოეულ პარტია მხოლოდ ათ წუთს გრძელდებოდა. ამ შეჯიბრებაშიც ნონამ ოზიემა გამარჯვება. 17 შესაძლებლობიდან 14,5 ქულით მან პირველი ჯილდო მოიპოვა, ნანას კი 13 ქულით მეოთხე ადგილი დარჩა.

ვრნიაჩკა-ბანიას შეჯიბრება ჩვენი სახელოვანი მოჭიდრაკეების მორიგი ტრიუმფით დამთავრდა.

გივი გამრეკელი

მესამედ

სამხრეთ ავსტრალიის დია ჩემპიონატზე დიდი ჯაფა დაადგა ქართველ ჩოგბურთელს ალექსანდრე მეტრეველს. იგი ძნელად შეეგუა ავსტრალიურ მცხუნვარე ზაფხულს, მაგრამ მაინც დაბეჯითებით მიიწევდა წინ და რიგ-რიგობით აშორებდა მეტოქეებს. მერვედფინალში სძლია ავსტრალიელ ბოლს, მეორე დღეს ქართველმა ჩოგბურთელმა კვლავ ისახელა თავი და უკვე ნახევარფინალისაკენ გაიკაფა გზა. აქ მეტრეველმა ხოლი გამარჯვება მოიპოვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელ მაილერთან. ნახევარფინალის დაძაბული ბრძოლა კი ფრანგ ჩოგბურთელს დომინგესს მოუგო.

და აი ადელაიდიდან მოვიდა ცნობა, რომ ქართველმა ჩოგბურთელმა, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ალექსანდრე მეტრეველმა ფინალურ შეხვედრაში სძლია ავსტრალიელ დიბლის — 7:5, 5:7, 6:8, 7:6, 6:2 და შესამედ მოიხვეჭა სამხრეთ ავსტრალიის ჩემპიონის წოდება.

წლევანდელი სპორტული სეზონი ქართველი რეგბისტებისათვის ბელხვავიანი გამოდგა. გვასახელა თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდმა, რომელმაც საბჭოთა კავშირის პირველობაზე მესამე საპატიო ადგილი მოიპოვა. საამაყოა ისიც, რომ გაისიდან საქართველო უმაღლეს ლიგაში ორი გუნდით იქნება წარმოდგენილი — მეორე ჯგუფის გუნდებთან პაექრობაში გამარჯვების უმაღლეს კვარცხლბეკზე ავიდა და 1973 წელს „ლოკომოტივის“ მხარდამხარ უძლიერესთა შორის იასპარეზებს თბილისის „დინამო“.

რედაქციაში მოვიწვიეთ ბრიწჯაოს მედლების მფლობელი თბილისის „ლოკომოტივის“ უფროსი მწვრთნელი, ახალგაზრდა არჩიტექტორი **გოგი ტონია** და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

● **უპირველესად გილოცავთ წარმატებას. გთხოვთ, მოკლედ გადმოგვცეთ ის ხიბძფრე, 1972 წლის ჩემპიონატს რომ ახლდა.**

— მოლოდინთან შედარებით დიდი მადლობა, მაგრამ მინდა გულახდილი ვიყო და გითხრათ: ბრიწჯაოს მედლების მოპოვებით კმაყოფილი არა ვარ. ოქრო გვქონდა. ამაზე ოცნების უფლებაც კი გვქონდა. თვითონ განსაჯეთ, პირველ წლებში მოსკოვში გვგზარნის სახელობის საშხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდის დამარცხება შეეძლოთ, ეს კი საბჭოთა რეგბის ისტორიაში უნიკალური შემთხვევაა. ამის შემდეგ ხედიზედ მოვიგეთ რამდენიმე გასვლითი მატჩი და დავემარცხეთ... საკუთარ მოედანზე. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩვენს ბიჭებს არ გააჩნდათ ძალთა მობილიზაციის ის უნარი, რომელსაც გუნდი გამარჯვებულის უმაღლეს კვარცხლბეკზე ახყავს.

● **ის, რისი გაკეთებაც ვერ შეძელით 1972 წელს, ალბათ, 1973 წლისათვის გადახდეთ?**

— მომავალ სპორტულ სეზონს იმედის თვალით შევყურებთ. თვითონ განსაჯეთ—1971 წელს მეხუთე ადგილზე ვიყავით, 1972 წელს მესამეზე გადვინაცვლეთ. ასე თუ გაგრძელდა, 1973 წელს ჩემპიონები გავხდებით, — ამას, რა თქმა უნდა, ხუმრობით მოგახსენებთ, მაგრამ ყველა ხუმრობაში სიმართლის ნატამალიც ურევია. გაისისათვის უკეთ თამაშს ვაპირებთ და, ალბათ, შედეგიც უკეთესი გვექნება.

● **გთხოვთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს გააცნოთ „ლოკომოტივის“ მოთამაშეები, რა დასამალია და, მათ სახელებს პოპულარობა აკლიათ!**

— სანამ ჩვენი გუნდის რეგბისტებს გაგაცნობდეთ, თქვენს შენიშვნაზე მინდა გიპასუხოთ: დიახ, რეგბის ფეხბურთის პოპულარობა აკლია, ეს, სხვა მიზეზებთან ერთად, მისი „ახალგაზრდობითაც“ აიხსნება. 13 წლის წინათ გაჩნდა ჩვენთან რეგბის პირველი სექცია და ნოდარ ყიფიანთან, ზაურ შველაძესთან, ორესტი დიმიტრიადთან, ტარიელ ნებიერიძესთან, რეზო მესხთან, გივი მრელაშვილთან და სხვებთან ერთად ვეზიარე მანამდე უცნობი სპორტის ანბანს... ოფიციალური შეჯიბრება კი პირველად 1961 წელს გავმართეთ. ჩემი ღრმა რწმენით, რეგბი მომავალში სულ უფრო და უფრო პოპულარული გახდება და მაშინ წმაწყვან მოთამაშეთა ჩამოთვლაც მათი თამაშის დახასიათება იქნება და არა უბრალო გაცნობა. დღეს კი ჩვენი გუნდის წმაყვანი მოთამაშეები არიან: ექიმები ზურაბ ხარშილაძე და ვალტერ კაპანაძე, მოქანდაკეები გია ჯაფარიძე და ვახტანგ ფეტვიაშვილი, გეოლოგები გელა მიქაბერიძე და ზურაბ რეხვიაშვილი, სტუდენტები რამაზ სანებლიძე, დათო კილასონია, გურამ მოდებაძე და სხვები...

● **თუ შეხვედრიხართ უცხოეთის გუნდებს?**

— სულ სამი საერთაშორისო მატჩი გვაქვს გამართული. ორჯერ შევხვდით ფრანგებს და დავმარცხდით, ჩვენი მხრივ კი დაუმარცხეთ პოლონეთის ერთერთი უძლიერესი საკლუბო გუნდი. გაზაფხულზე, ალბათ, მონაწილეობას მივიღებთ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც მოსკოვში გაიმართება, ოქტომბერში კი თბილისში რუმინეთის რომელსამე ძლიერ გუნდს ვუმასპინძლებთ.

● **ხომ არ გინახავთ ჩვენი თანამემამულის მიშელ იაშვილის თამაში, რომელიც საფრანგეთის ნაკრების ღირსებას იცავს?**

— პირადად არა, მაგრამ სხვებისგან გამიგონია — იგი ერთ-ერთი უძლიერესია არა მარტო საფრანგეთში, არამედ მსოფლიოშიც.

● **გოგი, ეხლა კი გთხოვთ საკუთარი თავიც წარუდგინოთ მკითხველს.**

— რეგბიში ფეხბურთიდან მოვედი. არაფის ეგონა, თუ თბილისის „დინამოს“ მოთამაშეს სხვა გატაცება გამიჩნდებოდა, მაგრამ ყველა, ვისაც ოვალური ბურთით თუნდაც ერთხელ მაინც უთამაშია, დამეთანხმება — რეგბიმ ფანატიკური შეყვარება იცის. პოლიტექნიკური ინსტიტუტის არჩიტექტურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მოსკოვის ასპირანტურაში ჩამრიცხეს და რეგბისაც დროებით ჩამოვშორდი. ჩამოვედი თბილისში და საპროექტო ინსტიტუტში მუშაობასთან ერთად კვლავ განვაგრძობ რეგბის ერთგულებას, ოღონდ... როგორც მწვრთნელი.

● **გისურვებთ 1973 წელს გამარჯვების გზით გევლოთ.**

— დიდი მადლობა, ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ახალი წელიწადი მივულოცო „სამშობლოს“ ყველა მკითხველს, სპორტის ყველა მოყვარულს.

საუბარი ჩაიწერა
რევაზ მამალაძემ



რეგბი დღეს და ხვალ...



ცოტნე დადიანი — ოთარ მელვინეთუხუცესი



კადრი ფილმიდან.

ცოჭნე დადიანი

ალექსანდრე ჟღენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, როცა მისი სცენარით რეჟისორმა დიმიტრი ბათიაშვილმა გადაიღო ფილმი „ფანჯარა“. სურათმა რამდენიმე პრემია მიიღო და ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა ჭაბუკი, რომ მისი გატაცება კინოხელოვნებით შემთხვევითი რიდი იყო. მეოთხე კურსის სტუდენტმა უნივერსიტეტს თავი მიანება და კიევის კინოსა და თეატრის ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა.

სწავლის პროცესშივე დაიწყო მომავალი რეჟისორის შემოქმედებითი მეგობრობა მომავალ ოპერატორთან — საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სტუდენტ ოთარ ჭუმბურიძესთან. მესამე კურსზე იყვნენ ახალგაზრდები, როცა თედო რაზიკაშვილის მოთხრობის მიხედვით გადაიღეს ფილმი „მონადირე“, რომელმაც 1970 წელს კიევში, სტუდენტური ფილმების რესპუბლიკურ ფესტივალზე ლაურიატის დიპლომი მოიპოვა.

ისტორიკოსის სპეციალობაზე უარის თქმა ისტორიის ხიყვარულის ღალატს როდი ნიშნავდა. ისტორიული თემები, ხამოშობლოს ხიყვარული, პატრიოტიზმი ახალგაზრდა რეჟისორის გატაცებად დარჩა. სწორედ ამ გატაცების ნათელი დადასტურებაა მისი და ოთარის სადიპლომო ნამუშევარი — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცოტნე დადიანი“ — ერთი სურათი „ქართლის ცხოვრებიდან“.

ფილმის სიუჟეტი ისტორიულ მასალაზეა აგებული და მოგვითხრობს საქართველოსათვის ძნელბედობის ჟამს, XIII საუკუნეში ქართველი მთავრის, ცოტნე დადიანისა და სხვა მამულიშვილთა თავგანწირვაზე მონღოლთა უღლისაგან ხამშობლოს დახახსნელად. ცოტნე დადიანისა და სხვა თავდადებულ ქართველთა ეს გმირობა მოვლენად იქცა საქართველოს ისტორიაში და სამუდამოდ დარჩა, როგორც ერთი გაუხუნარი ფურცელი ჩვენი ცხოვრებისა.

ფილმში მხოლოდ სამი მსახიობი მონაწილეობს — ცოტნე დადიანს ჩვეული ოსტატობით გვიჩვენებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ოთარ მელვინეთუხუცესი. აღსანიშნავია, რომ ამ ფილმში ოთარს მხოლოდ რამდენიმე ფრაზა აქვს სათქმელი. ამის მიუხედავად, მსახიობი ბრწყინვალედ გვიხატავს ქართველი გმირის უმდიდრეს სულიერ სამყაროს, მის გრძნობებსა და განცდებს.

მონღოლთა ნოინს ახრულებს მსახიობი გივი ჯაჯანიძე, რომელიც კარგად შეეწყო როლს. მოღალატის სახე კარგად გაგვიხსნა აბესალომ ლორიამ.

ერთ-ერთი მამულიშვილის როლს განასახიერებს მსახიობი ვასილ ჩხეიძე. ფილმის დანარჩენი მონაწილენი კი არაპროფესიონალები არიან. და ამის მიუხედავად, ვერავის დასწამებთ სახის სქემატურ გახსნას. პირიქით, თითოეული შემსრულებელი მთელი სიღრმით ჩაწვდა თავისი გმირის შინაგან სამყაროს და ძალზე საინტერესო სახე შექმნა. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ჟღენტისა და ოთარ ჭუმბურიძის ამ სადიპლომო ნამუშევარმა ავტორიტეტული და ფრიად მკაცრი საგამოცდო კომისიის წინაშე უმაღლესი შეფასება—ნ დაიმსახურა.

ამ დღეებში „ცოტნე დადიანი“ ფართო მაყურებელთა სამსჯავროზე წარსდგება. ვუსურვებთ მის შემოქმედებით კოლექტივს აქაც უმაღლესი შეფასება — მაყურებელთა სიყვარული და აღიარება მოეპოვებინოს.

დაე, ეს სურვილი იყოს ჩვენი საახალწლო მილოცვა, კეთილი იყოს თქვენი შემოქმედებითი გზა!

ლია ჩიქოვანი



ცნობილ ქართველ მხატვარ-კარიკატურისტს **გიგლა ფირცხალავას** 50 წელი შეუსრულდა. აი უკვე სამი ათეული წელიწადია ამ შემოქმედის მრავალი იუმორისტული ნახატი, მეგობრული შარჟები ლაზათს აძლევს, ახალისებს საქართველოს ჟურნალ-გაზეთებს. მის შემოქმედებას კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც.

გთავაზობთ გიგლა ფირცხალავას საუბარს გაზეთ „სამშობლოს" კორესპონდენტთან. აქვე ვაქვეყნებთ მხატვრის რამდენსამე ნამუშევარს.

● *პატივცემულო გიგლა, გაზეთი „სამშობლო" გილოცავთ 50 წლის იუბილეს, გისურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს და მარადიულ შემოქმედებით სიჭაბუკეს.*

—ამ დღეებში უამრავი მილოცვა მივიღე, მაგრამ მერწმუნეთ „სამშობლოს" მილოცვა სულ სხვა რამ არის. გეხვევით ყველას უკლებლივ. ჩემთვის დიდი პატივი იქნება იცოდეთ, რომ ყოველთვის მზად ვარ თქვენდა სამსახურად

● *მკითხველისათვის საინტერესო იქნებოდა, როგორ მოევლინა საზოგადოებას მხატვარი გიგლა ფირცხალავა.*

— მაშინ თბილისის მეორე საშუალო სკოლის მეხუთე კლასში ვსწავლობდი. შესვენებაზე ბიჭები ჩვეულებისამებრ ვანცობდით. მათემატიკის გაკვეთილი უნდა გვქონოდა. დაფაზე ცარცით დავხატე მასწავლებლის პროფილი. მასწავლებელიც შემოვიდა და პირველი შემოქმედებითი ჯილდო გაკვეთილიდან გაძევებით აღინიშნა. მერე დირექტორთანაც დამიბარეს და გამაფრთხილეს, რომ ამგვარი მხატვრობისათვის უფრო მკაცრად დავისჯებოდი.

ხატვა უკვე მიყვარდა. თანდათან ეს სიყვარული ყველა გატაცებას სძლევდა. უფროსმა ძმამ, სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა იროდიმ (იგი სამამულო ომში დაიღუპა) მაჩუქა ტილო და ზეთის საღებავები. მე შევასრულე მარშალ ბუდიონის პორტრეტი, რომელიც ძალზე მოეწონათ.

ხატვას უკვე სერიოზულად ვეკიდებოდი. ფეხბურთი ხომ ძალზე მიყვარდა და კარგად ვთამაშობდი, მაგრამ არჩევანი რომ დადგა, ისევ ხატვას ვუერთგულე. თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. ვსწავლობდი პროფესორ ნიკოლოზ კანდელაკის კლასში. სპორტისადმი ჩემი პატივისცემა კი იმაში გამოიხატა, რომ ზედიზედ შევასრულე მოჭიდავეების — პირველი ქართული ოლიმპიური ჩემპიონის დავით ციმაკურიძის, ლეგენდარული ფალავანის გივი კარტოზიას ქანდაკებები.

შემოქმედებითი დროის უდიდესი ნაწილი მაინც მიაქვს სატირულ-იუმორისტულ ჟანრში მუშაობას. საზოგადოება ამ მხრივ უფრო მიცნობს. და თვითონვე მოითხოვს ჩემგან იუმორისტულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს.

● *რა არის თქვენი ჰობი?*

— ფეხბურთი, რომელსაც ჭაბუკობაში ვულალატე, მაგრამ ეხლა მივუბრუნდი. მე ხომ საქართველოს ჟურნალისტთა დაუმარცხებელ გუნდში ვთამაშობ!


● *რას ეტყოდით საახალწლოდ გაზეთ „სამშობლოს" მკითხველებს?*

— სამშობლო უყვარდეთ. სიცილის ფასი იცოდნენ. სიცილი აჯანსაღებს ადამიანს. სულით ჯანსაღები ჭირდება სამშობლოს.


საუბარი ჩაიწერა
ჯემალ მათურელმა



ონავარი



მხოლოდ შენ ერთს...



— გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, დასაძინებელი წამალი მიიღეთ

თქვენთვის, ნორჩებო!

პატარა მეკვლე

პატარა თამროს არც თოფების სროლა გაუგია, არც რადიოს მილოცვა:

— მრავალ ბედნიერ ახალ წელს დაესწარითო!

ალიონზე გაახილა თვალი და მაშინვე გაახსენდა დიდედის ნათქვამი:

ბედნიერ წელს კარგი მეკვლე გაგვითენებსო და დილას შეეკითხა:

— დილავ, დილავ ცისფერო, მეკვლეს ხედავ იქნებ?

— ვხედავ კარგად, თოვლიან გზას კვალავს!

— კარგი ფეხით? ოქროს ჩექმით? — ჩაეკითხა თამრო.

— დიახ! — მიუგო დილამ.

— ალილოს მოიმღერის?

— დიახ! — მიუგო დილამ.

— მოდის ჩვენკენ, ჩვენი მეკვლე! — შესძახა თამრომ და შემახვედრად კარისკენ გაეშურა.

მაგრამ დახეთ, წინ მწვანეწიწვებიანი, ოქროსმძივებიანი, ზიზილებით, ბიზიებით მორთული ხე გადაეღობა:

— გამარჯობა, ნაძვის ხეო!—შესძახა თამრომ და თავი დაბლა დაუკრა.

— გამარჯობა, პატარავ! — გაუღიმა კენწეროდან ვარსკვლავმა.

— ვისზე ნაკლები მეკვლე ვარ? ტრუ-ლა-ლა, ტრუ-ლა-ლა, — გადმოსძახა ბალერინა ტრიალტრიალამ.

— ტრიალ-ტრიალს დაგვიბედებ, დიდედას კი თავბრუ ესხმის! — დაიწუნა ბალერინა მეკვლედ თამრომ.



— მე ამირჩიე მეკვლედ, ჯამბაზი, ლამაზი! — შესძახა ჯამბაზმა და მალაყზე გადავიდა:

— ჰოპლა, ჰოპლა!

— არა, არა, ცხვირპირდასამსხვრევი დიდედა სადა მყავს? — შეშფოთდა თამრო.

— მე ვარ მეკვლე — გმირი კოსმონავტი! — თქვა რაკეტასთან მდგარმა ვაჟმა.

— ჩექმებიც გაცვია კარგი, მომწონს შენი სკაფანდრიც, მაგრამ კოსმოსს დაგვიბედებ, დიდედას კი სიმაღლის ეშინია: — თქვა დანანებით თამრომ და კარისკენ გაეშურა. ყური მიუგდო, კიბეზე ფეხის ხმა მოესმა.

—მობრძანდება ჩვენი მეკვლე!— თქვა და კარი გააღო. კიბეზედაც გავიდა. მერე იცით, რა მოხდა? ქარმა დაუბერა და ბრახუნით მოკეტა კარი. კარის ზარი კი ძლიერ მაღლა იყო.

— ვერ მისწვდები! — სისინებს ქარი.

— ნუ გიხარია ქარო, არ დაიბნევა თამრო, დიახ! — თქვა ცისფერმა დილამ და მართლაც თამრომ ხელად დაიწყო სიმღერა:

— ალილოო, ალილოო!

— მეკვლე ქალი? — ჰი-ჰი-ჰი! — ჭირქილებდა ავი ქარი. მაგ[რამ] გაწბილდა ისევ. გაიღო კარი [და] თამრო ხელში აიტაცეს: მამამ, დედამ და დიდედამ.


— ესეც ჩვენი კარგი მეკვლეო! — იძახოდნენ და ფუნჩულა ხელებს უკოცნიდნენ. მერე რა მოხდა? მერე თანატოლები ეწვივნენ თამროს: ორი პატარა გიორგი, ერთი ანი, ერთი დათო, ქეთინო, ორი მარიკა, ერთი მამუკა, გიაც, მაიაც, ხათუნა და ზაზა.

მოილხინეს ნაძვთან, ფირხულით შემოუარეს და უმღერეს:

რა ლამაზი ნაძვის ხეა,
რა მორთული, რა კამკამა!
გამარჯობა, ნაძვის ხეო,
ნაძვის ხეო, ვაშა, ვაშა!

თამარ ჩხაიძე

თოვლის პაპა



აჩიკო და ლალი ნაძვის ხეზე მოწვეულ მეგობრებს ელოდნენ და ფანჯრიდან იცქირებოდნენ.

— ლალი, შეხედე, რა კარგი თოვლის პაპა გაუკეთებიათ! — უთხრა აჩიკომ დას.

— მოდი, შინ შემოვიყვანოთ. ეზოში მოწყენილია, შესცივა კიდეც. — თქვა ლალიმ და პალტო მოისხა.

— მართლა რა კარგი იქნება! — ტაში შემოჰკრა აჩიკომ.

ბავშვებმა ხელი ხელს ჩაჰკიდეს და ეზოში ჩაირბინეს.

აჩიკო თოვლის პაპას ორივე ხელით დაებღაუჭა, გულზე მიიკრა და რის ვაი-ვაგლახით შეიტანა შინ.

— რა კარგია, როგორ მოეწონებათ ბავშვებს ნამდვილი თოვლის პაპა! — უხაროდა აჩიკოს.

— მოეწონებათ, მოეწონებათ! — ცმუკავდა ლალი.

— მოდი, დედას ჯერ ნუ ვეტყვით, უცებ რომ ნახავს, გაუკვირდება! — სთხოვა აჩიკომ ლალის.

მალე აჩიკოს და ლალის სტუმრებიც მოვიდნენ.

— იცით, ჩვენ თოვლის პაპა გვეწვია, — ახარა ტოლებს აჩიკომ და მეორე ოთახში შეუძღვა.

— აბა, სად არის? — ჟრიამულით გაჰყვნენ გოგო-ბიჭები, მაგრამ სადღა იყო თოვლის პაპა? — ნაძვის ხესთან მხოლოდ გუბე იდგა.

ბავშვები მიხვდნენ, რაც დამართ[ა] და აჩიკოს თოვლის პაპას და იქაურობა სიცილ-კისკისით აიკლეს.

ხმაურზე ოთახში ნინო შემოვიდა.

— ეს რა გუბეა? — იკითხა მან.

ბავშვები დედას მისცვივდნენ და ერთმანეთს პასუხს არ აცლიდნენ.

— სად გაგონილა ოთახში თოვლის შემოტანა? — ჯავრობდა დედა და თან იატაკს წმენდდა.

— თოვლი კი არა, პაპა იყო! — თავი იმართლა აჩიკომ.

— ჰოდა, ტყეში წავიდა საჩუქრების მოსატანად, — დაუმატა ლალიმ.

ლალის ნათქვამმა ბავშვები კიდევ უფრო გაამხიარულა.

— მაშ, სანამ თოვლის პაპა ტყიდან დაბრუნდება, ლექსები თქვით, იმღერეთ! — უთხრა ნინომ ბავშვებს.

სტუმრებმა მოილხინეს.

ამასობაში აჩიკოსა და ლალის პაპა სამუშაოდან დაბრუნდა, თეთრებში გამოეწყო, მხარზე საჩუქრებით სავსე ხურჯინი გადაიკიდა და ბავშვებთან შევიდა.

— თოვლის პაპა, თოვლის პაპა! — ატყდა ერთი ჟივილ-ხივილი.

— ხომ ვთქვი, ტყეში წავიდა და საჩუქრებს მოგვიტანს-მეთქი! — სიხარულისაგან ციბრუტივით დატრიალდა ლალი, თოვლის პაპასთან მიირბინა და ფერადი პარკუჭანა ჩამოართვა.

ქეთევან ფილაშვილი

ზამთარი

შიო მღვიმელი

თეთრად ქათქათებს მინდორი,
ბიჭო, რას უზი კერასა?
გამოდი, გამომზიგულდი,
რა სჯობს ამ თოვლის ცქერასა!

შეხედე დათოვლილ სერებს,
ყელები უგავთ სურასა;
ზამთარი მხოლოდ აშინებს
ლაჩარს და ბუტუსურასა!

შენ ხომ არც ერთი არა ხარ,
მაშ ნულარ დაიგვიანებ,
თუ გუნდაობას ვერ შესძლებ,
პირს მაინც გაიმზიანებ.

— მოვდივარ, შენი ჭირიმე,
ციგით და თხილამურებით,
მეც მიყვარს თვალის დატკბობა
ჯანსაღი თოვლის ყურებით!

ნახე, როგორი ბიჭი ვარ,
ციგას რომ გავასრიალებ!
ხან ზედ დაგისვამ
მოყვრულად,
ხან თოვლში გაკოტრიალებ!



თუ გამეჯიბრე გუნდაში, —
ისე აგიწვავ ყურებსა,
როგორც თონიდან ამოყრილ
კოხტად დაზრაწულ პურებსა!

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-08-44, 93-56-23.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.